K 2218
1a

K 2218/1a

სამ. ფირცხალავა.

ეროვნება და ეროვ-ნული თავისუფლება.

ტფილისი.
მთავრობის სტამბა.
1918 წ.

სამ. ფირცხალავა.

ერობნება და ეროვნული თავისუფლება.

К 2218/12



ტფილისი.
მთავრობის სტამბა.
1918 წ.

ეროვნება და ეროვნული თავისუფლება.

რა არის ეროვნება? მეტად ღრმა და ფართო მოვლენაა. მისი დასაწყისი შორიდან მოდის, მისი გავლენა უფრო ძლიერია და განუსაზღვრელი, ვიდრე შეიძლება, ეგონოს ვისმე პირველის შეხედვით. ეროვნებას მხოლოდ პოლიტიკოსები აქცევენ ყურადღებას და ბევრის ფიქრით იგი ახალი დროების, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნაყოფია. მაგრამ ეროვნება ისევე ძველია, ვით საზოგადოება, ვით ადამიანი, ვით ქვეყანა. არც თუ მარტო პოლიტიკური საკითხია ეროვნება. შეიძლება აპოლიტიკოსი იყოთ, საჭიროდ არ მიგაჩნდეთ სახელმწიფოებრივობა და პოლიტიკა, არავითარს მონაწილეობას არ იღებდეთ პოლიტიკურ მოღვაწეობაში, მაგრამ წარმოუდგენელია გვერდი აუქციოთ ეროვნებას, ვინაიდგან ეს იქნებოდა უარყოფა თვით არსებობისა, ცხოვრებისა. ეროვნება არა თუ სოციალური მოვლენაა, ბიოლოგიურიცაა და კოსმიურიც. იგი გაგრძელებაა დედამიწაზე აღმოცენებულ ცხოვრებისა და თვით დედამიწის სიცოცხლეა.

ადამიანი დედამიწის შვილი არისო და ადამიანის ქართული სახელი კაცი თიხასა, მიწას (კეცი) ნიშნავს. ებრაულ ბაბილონური გადმოცემაც იმას მოგვითხრობს, რომ ადამიანი ღმერთმა მიწისაგან შექმნა. ამას ალეგო-

რიული სიმბოლიური დასურათების მნიშვნელობა არა აქვს, იგი სრულს სინამდვილეს გამოხატავს. ადამიანი ისეთივე ნაყოფია დედამიწისა, როგორც რომელიმე მცენარე, რომელსაც პირდაპირ მიწაში აქვს გადგმული ფესვები. ადამიანის სახე, მოყვანილობა, სხეული, ორგანოები, თვისებები—ეს ყველაფერი დედამიწის წარმოშობილია. ადამიანი ასეთია იმიტომ რომ ასეთია დედამიწა და რომ ჩვენ დედამიწის ნაცვლად სხვა ცთომილის (პლანეტის) მკვიდრნი ვიყვნეთ, მაგალითად არიის (მარიხის) ან კრონოსის (სატურნის), მაშინ უეჭველია სულ სხვანაირი სახის და მეტყველების, სხვა აგებულობის ვიქნებოდით, სხვა ფიქრი და სხვა ზრახვა გვექნებოდა. არიაზე დრო ორჯელ გრძელია ჩვენსაზე (23 თვეა), ფერები სხვანაირია, ჰავაც; მზე სითბოს და სინათლეს ნაკლებს იძლევა—ამიტომ ცხადია თუ იქ ადამიანის მსგავსი არსებანი ცხოვრობენ, განსხვავებულნი იქნებიან ჩვენგან.

იყო დრო, როცა კაცთა მოდგმის ისტორია ბუნების გარეშე იწერებოდა და ყურადღებას არავინ აქცევდა, თუ სად, რა გეოგრაფიულ პირობებში ცხოვრობდა ეს თუ ის საზოგადოება, რას წარმოადგენდა ადგილი, რანაირი მოყვანილობა, თვისება ჰქონდა იმ კუთხეს, სადაც განვითარდა ეს თუ ის ისტორიული მოვლენა. მაგრამ დღეს მეცნიერებას ვერ წარმოუდგენია ისტორია გარეშე ბუნების აღწერილობისა და სრულს ჭეშმარიტებას ამბობს ერთი სწავლული, რომ „გეოგრაფია ისტორიკოსისათვის იგივეა, რაც მზე ქვეყნიერებისათვისო“. საზოგადოებასა და იმ ნიადაგს შორის, სადაც ეს საზოგადოება ცხოვრობს, ისეთი განუკვეთელობა და კავშირია, როგორც ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მოვლენათა, სულსა და სხეულს შორის.

ადამიანი ეკუთვნის მიწას, როგორც ნაწილი. რაც დედამიწაზე აღმოცენდა და განვითარდა, გაკეთდა ადა-

მიანის გაჩენამდე, ეს ყველაფერი სამზადისი იყო ადამიანის წარმოსაშობად, რომელშიაც ჩვენი ცთომილის ორგანიულმა სიცოცხლემ მიახწია უდიდეს აყვავებას. ხოლო ადამიანი მიტომ კი არაა მხოლოდ მიწის შვილი, რომ მიწიდან ამოვიდა, მიწისაგანაა, არც იმიტომ, რომ მიწაში ჩასახული იყო ადამიანი დღიდან პირველი სიცოცხლისა, რომ მიწა ნიადაგია ადამიანის. არა, დედამიწამ აღზარდა ადამიანი, ბუნების ძალებსა, სხვა და სხვა მცენარეებსა და ცხოველებთან ბრძოლამ გაწრთვნა და აამაღლა ადამიანი, უსახოს მისცა სახე, უტყვს მეტყველობა, ცხოველს შთაბერა სული და მიანიჭა ადამიანობა. ამრიგად ადამიანის სუნთქვა და სისხლის მოძრაობა, ზრდა-განვითარება განუშორებელია დედამიწის სუნთქვისა და მოძრაობისაგან, ადამიანის ცხოვრება დედამიწის ცხოვრებაა ადამიანის თავგადასავალი დედამიწის თავგადასავალია.

მაგრამ რა არის ადამიანი? როდის იწყება მისი გამოყოფა და გამოთიშვა სხვა ცხოველებში? როდის ჩაეყარა საძირკველი ადამიანის განსხვავებულ ისტორიას, მის განვითარებას და კულტურას? ჩვენი გონება ვერ მისწვდება იმ მეტად მოშორებულს, წყვდიადში დაკარგულს დროს, როცა ადამიანი ცხოველი იყო და მისი ყოფა ცხოველისაგან ნაკლებად განირჩეოდა. ძნელად წარმოსადგენია ის ხანაც, როდესაც ადამიანმა ფეხი აიდგა და ხელები მოიმარჯვა, როგორც იარაღი, იწყო ენის გაკვეთა თითო-ოროლა გარკვეულის ხმის გამოთქმით. კაცთა მოდგმის წინაპართა გაადამიანების დღეები ჩვენთვის უფრო ღამეებია და იქ ვერაფერს ვხედავთ, ვერაფერს ვარკვევთ. ხოლო უეჭველია, გაადამიანების პროცესმა მიიღო მტკიცე და ბეჯითი ხასიათი მარტო მაშინ, როცა ადამიანთა შორის ჩაისახა კავშირი, საზოგადოება, ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი ერთობა, ერთი ადამიანის, ერთის სქესის მოქმედება შეუერთდა მეორისას, მოხდა შრომის

შეჯგუფება, დაწესდა საქმის და ნამოქმედარის ერთმეორეზე გადაცემა, დამკვიდრდა ჩვეულება, მიბაძვა, როდესაც შეიქმნა კერა ოჯახისა, თემისა, გაჩნდა ღმერთი მფარველი და განმამტკიცებელი პირველყოფილი საზოგადოებრივი ერთეულისა. მხოლოდ ამ დღიდან იწყება ნამდვილი ადამიანობა, მკვიდრდება ადამიანის განვითარება, არსდება ადამიანის კულტურა. ადამიანის ისტორია ადამიანთა საზოგადოების ისტორიაა და ჩვენთვის არც კი არსებობს ადამიანი როგორც ადამიანი — როგორც განსახიერება დედამიწის უმაღლესის სიცოცხლის, როგორც გვირგვინი ბუნებისა — გარეშე საზოგადოებრივობისა, გარეშე შეკავშირებულის, შეთანხმებული მოქმედებისა და ცხოვრებისა.

ისე როგორც ადამიანის არსებობა აღმოცენებულია დედამიწის გულზე, ისე როგორც დედამიწით სულდგმულობს ადამიანი და მხოლოდ მის წიაღში ჰპოვებს ძალას და ღონეს, ასევე წარმოშობილია ადამიანი საზოგადოების, ასევე ასაზრდოვებს მას საზოგადოება, ასეთივე აუცილებელი ნიადაგია მისი სიცოცხლისა და ზრდისათვის საზოგადოება. ადამიანი ველურდება, პირუტყვდება. ჰკარგავს შემოქმედებას, ქვეითდება გონებრივად და ზნეობრივად საზოგადოების გარე ისე, როგორც სჭკნება და ხმება მცენარე, რომელიც მოკლებულია ნიადაგს, რომლის ფესვები მოჰკვეთეს დედამიწას. ადამიანი იზრდება საზოგადოებაში, ვითარდება და იჩენს შემოქმედებას საზოგადოებაში. საზოგადოება აწვდის ადამიანს ძალას, იარაღს, ცოდნას, კულტურას, რომელიც შეუქმნიათ წინა თაობათ, რომ არა თუ მოაწყოს თავისი ცხოვრება უმჯობესად, არამედ რომ განავითაროს თვითონაც კულტურა, შექმნას ახალი ღირებულება, ახალი საშუალება მომავალთათვის. საზოგადოება აუცილებელი პირობაა ცოდნის შესანახად, მემკვიდრეობითი გადაცე-

მისათვის, ტრადიციისათვის, ურომლისოდ მოუხერხებელია რაიმე წინმსვლელობა. საზოგადოება ერთადერთი სალაროა კულტურის, ერთად ერთი წყაროა სწავლის და ჭკუის, ერთად ერთი დამცველია ადამიანობის.

და თუ ვამბობთ: ადამიანი დედამიწის შვილია, არა ნაკლების უფლებით უნდა ვსთქვათ, რომ ადამიანი შვილია საზოგადოების, ხოლო იმ განსხვავებით, რომ დედამიწა, ბუნება ჰქმნის, ასე ვსთქვათ, ფიზიკურს პირობებს ადამიანის არსებობისათვის, საზოგადოება კი სულიერს, გონებრივ-ზნეობრივს. მართალია, პირველი პირობები თავიდანვე გაჩენილია და ადამიანს თითქმის არავითარი წილი არა აქვს მის გაჩენასა და არსებობაში, ხოლო საზოგადოებრივი პირობები, საზოგადოება შემდეგ წარმოშობილია ბუნებისა და ადამიანის ზეგავლენით, მაგრამ საზოგადოებას მაინც იმდენად დამოუკიდებელი არსება აქვს, რომ მისი როლი და მნიშვნელობა სრულიად განცალკევებული და განსხვავებულია. ამ ორს მოვლენას გვერდს ვერ აუხვევს ვერც ერთი მკვლევარი ადამიანთა ცხოვრებისა, როგორის მიმართულებისაც უნდა იყოს—იქნება მატერიალისტი თუ იდიალისტი, მიაკუთვნებს პირველობას მატერიალური კულტურის წარმატებას თუ იდიათა განვითარებას.

არის დედამიწა, ბუნება სხვა და სხვა გვარის თვისებით. არის საზოგადოება უძველეს, უხსოვარ დროიდან წარმოშობილი. ეს ორი თავისებური წრეა ადამიანის არსებობისა, ვერც ერთის გარეშე ადამიანი ვერ იარსებებს, ვერ გაიზრდება, ვერ განვითარდება.

ადამიანი ისეთია, როგორიცაა ბუნება, ჰავა, მოხაზულობა იმ ადგილისა, სადაც ის იშვა და ცხოვრობს, ისეთია, როგორიცაა საზოგადოება, რომელმაც მისცა მას კერა, სიტყვა, კულტურა. არ არსებობს არავითარი ცივილიზაცია, არავითარი ზემოქმედება არც სარწმუნოე-

ბრივი, არც მეცნიერული, არც მხატვრული და არც პრაქტიკული დარგისა გარეშე განსაზღვრულ ბუნების და საზოგადოების წრისა, ვინაიდგან არ არსებობენ ადამიანები განყენებულად; არსებობენ მხოლოდ ადამიანები განსაზღვრული ადგილის და საზოგადოების.

პირველია ის, რასაც ჩვენ ვეძახით სამშობლოს, მეორეა—რასაც ვეძახით ერს, ეროვნებას. და ისტორია კაცთა ნათესავისა არის ისტორია სამშობლოთა და ერთა. ადამიანები არიან მხოლოდ სამშობლოს და ერის შვილები და ყოველი ადამიანი არის მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც არის მისი სამშობლო, მისი ეროვნება—ის ადგილი, „სადაც შობილა, გაზრდილა და უსროლია ისარი, სად მამაპაპა ეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი“,—ის საზოგადოება (თემი, ტომი, ეროვნება), რომელიც აღმოცენდა მისი სამშობლოს მიწაწყალზე, რომლის კულტურამ განმსჭვალა მისი არსება, მისი სული და გული.

1.

ასეთია დედა თვისება ეროვნებისა, აქედან წარმოსდგება მისი მნიშვნელობაც. მაგრამ გავშალოთ ჩვენი ზოგადი მოსაზრება, უფრო ახლო გავიცნოთ ბუნება ეროვნებისა და დავაკვირდეთ მისი განვითარების პროცესს.

როგორც ვსთქვით, ადამიანი ორგვარის—ბუნებრივი და საზოგადოებრივი ძალების გავლენის ქვეშ იზრდება და ვითარდება. განვიხილოთ ჯერ პირველი—ბუნების მოქმედება. ყოველს ჩვენგანს აქვს პირადი განცდა იმ სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობისა, რომელსაც იწვევს გარშემო ბუნების სხვა და სხვა თვისება. განა არ ვიცით, როგორ ცხოველმყოფელად მოქმედობს გაზაფხულის მზე

და როგორ აძლიერებს სიცოცხლის წყურვილს, როგორის სევდით აგვავსებს ხოლმე მკრთალი სხივი და ჩაყვითლებული ფოთლების შრიალი? როგორ მსუბუქად ვგრძნობთ თავს მაღლობზე და თითქოს ლოდი გვაწევსო დახუთულ დაბლა მიწაზე? როგორ საოცნებოთ მოგვმართავს მთავრიანი ღამე და შორს ლანდებად გამოსახული მთის მწვერვალები? როგორ უსაზღვრო სივრცისკენ გვიტაცებს ჩვენს წინ გადაშლილი ჩალურჯებული ზღვა? განა არ გვინახავს ბარის მცხოვრები და მთიელი, როგორ განსხვავდებიან გარეგნულის მოყვანილობით, მიხვრა-მოხვრით, სიარულით, კილოთი? განა არ მიგვიქცევია ყურადღება, რომ ფერ-მიხდილია ვინც მუდამ დახურულ-დაჩრდილულ ადგილას იმყოფება და სახე უბრწყინავს, თვალები ელვარებს იმის, ვისაც მზე დასცქერის, ეალერსება, რომ საღია და მრთელი მშრალი ნიადაგის მკვიდრი და მოდუნებულია სხეული იმის, ვინც ჭყანტობიან და ნოტიო მიწაზე ცხოვრობს? სულ სხვა და სხვა ადამიანი სიცხეში და სიცივეში, ტყეში და მინდორში, მთაზე თუ ზღვის პირად. იცვლება მისი სულიერი განწყობილება, იცვლება მისი გარეგნული გამოსახულობაც.

საუკუნეთა განმავლობაში ბუნების ელემენტებთა გავლენას ღრმა ცვლილება შეაქვს ადამიანის ცხოვრებაში და წარუშლელს კვალს აჩნევს მის სოციალურ ეკონომიურს და კულტურულ განვითარებას. გადაჭრით არ ვიცით, ერთ ალაგას გაჩნდა, წარმოიშვა ადამიანი, ერთ ალაგას გამოვიდა პირუტყვობიდან, თუ სხვა და სხვა ალაგას, სხვა და სხვა პირობებში მოხდა მისი განკაცება. მაგრამ ადრევე დაიწყო ადამის მოდგმის დანაწილება სხვა და სხვა ჰავის, ნიადაგის, მიწის მდებარეობის მიხედვით. ადამიანს წინდაწინ უჩვენებდა ბუნება განვითარების გზას, წინდაწინ საზღვრავდა მისი მოძრაობის ფარ-

გალს და თითქოს წინასწარ იყო დაწერილი ადამიანის ისტორია მის საცხოვრებელ ადგილის ველებსა და კლდეებზე.

დედამიწა დიდია და ვრცელი. მაგრამ ცხოვრება ყველგან არაა შესაძლებელი. სიცოცხლისათვის საჭიროა განსაზღვრული სითბო და სადაც მუდამ საშინელი ყინვებია, იქ არა აღმოცენდება-რა და ვერც ადამიანი სძლებს ხოლო თუ ადამიანი ცხოვრობს ცივ ადგილებში, სადაც გაძლება შესაძლებელია, მაგრამ სითბოს მოსაპოვებლად დიდი ენერგია და ძალა უნდა დახარჯოს კაცმა,—იქ საზოგადოებრივი განვითარება შეუძლებელია. აქ არაა აკვანი კულტურისა, აქ ადამიანი უთუოდ დაქვეითებული და ჩამორჩენილია. ესკიმოსებს არ ძალუძთ რაიმე შემოქმედების გამოჩენა. მზე სიცოცხლის წყაროა, იგი აძლევს ძალას მცენარეებს და ცხოველებს, ადამიანებსაც და ცხადია, თუ მზე ნაკლებ სხივს იძლევა, იქ საზოგადოება ვერ განვითარდება.

მეორეს მხრით გადაჭარბებული სითბოც აფერხებს და ადუნებს ცხოვრებას, მაგრამ უძველესი კულტურა, რომლის შესახებ ცნობა მოგვეპოვება, სწორედ ცხელ, ტროპიკულ ადგილებში აღმოცენდა. ინდოეთი და სამხრეთი ჩინეთი ნათლად მოწმობს, რომ თვალსაჩინო საზოგადოებრივი დაწინაურებაა შესაძლებელი ტროპიკებს შუა. ძველი პერუს და მექსიკის ისტორიაც ამის მაგალითს გვაძლებს. როდესაც ადამიანი მეტად დაბალს საფეხურზე დგას, სიცხე ხელს უწყობს მის არსებობას. მაგრამ შემდეგ ვხედავთ, რომ უდიდესი საკაცობრიო კულტურა ვითარდება იქ, სადაც ზომიერი ჰავაა—ტროპიკებსა და პოლიუსებს შუა. ამ ადგილებში იშვნენ უძლიერესი ტომები და რასები. ზოგი მეცნიერი „დაპყრობის ზონას“ უწოდებს დედა-მიწის იმ ნაწილს, სა-

დაც ელბიდან ამურამდე ცხოვრობდნენ გერმანები, სარმატები, უნგრები, თურქები, მონღოლები, მანჯურები, ის ტომები, რომელთაც შემუსრეს თავის მახვილით უფრო ღარიბი მოდგმანი პოლიუსისკენ და უფრო მდიდრები ეკვატორისკენ. ისიც კი ემჩნევა, რომ ერთი ტომის ხალხის ის ნაწილი, რომელიც უფრო გრილ მხარეში სცხოვრობს, უფრო ენერგიული და მოქმედია ვიდრე ის, რომელიც უფრო ცხელ ადგილში სცხოვრობს. იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში ჩრდილოეთი ბრძანებლობდა სამხრეთს.

თუ ჰავა თბილია და ნოტიო, ცუდად მოქმედობს ადამიანის სხეულზე და ადუნებს მის მოქმედებას, რადგან როცა სხეულის კანი მუდამ დანამულია, შიგნიდან გარედ ადვილად ვერ გამოდის ოფლი. სამაგიეროდ დიდს მოძრაობას იჩენენ იმ ადგილების მკვიდრნი, სადაც თბილი და მშრალი ჰავაა. ეგვიპტესა, ბაბილონ-ასურეთსა და ფინიკიაში ასეთი ჰავა იყო და იქ განვითარდა პირველი კულტურა. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ ადგილმა ხანგრძლივი გვალვები იცის, წვიმა იშვიათია, იქ მცენარეულობა ღარიბი იქნება და ეს ხელს ვერ შეუწყობს განვითარებას.

ჰავას დიდი გავლენა აქვს ადამიანის სულიერ განწყობილებაზე. ყველას გვაღონებს მოღრუბლული, ჯანყიანი დღე და გვახალისებს მზიანი. ჰავაზეა დამოკიდებული, ადამიანი მეტს დროს სახლში ატარებს თუ გარედ, ეს კი მოქმედობს შინაურ და საზოგადოებრივ ცხოვრების მოწყობაზე. თუ მეტად ცვალებადია, ეს იწვევს ხასიათის დაუდგრომლობას, ცვალებადობას. ერთფეროვანი ჰავა საუკეთესო პირობაა პოლიტიკური გაერთიანებისათვის. სამართლიანად ამბობენ, რომ რუსეთის გაერთიანებისათვის ტერიტორიის ერთფეროვანობასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კლიმატსო. ვან-

საკუთრებით ეს შეეხება ზამთარს, როდესაც მთელს მიდამოს ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე თოვლის ჩარსავი გადაეფარება.

ჰავასთან მჭიდრო კავშირი აქვს მცენარეების და ცხოველების ჯიშს, და სიმრავლეს. მცენარე ადამიანს აძლევს სხვა და სხვა ნაყოფს ასაზრდოებს მის ჯოგს, აწვდის მასალას სახლის ასაშენებლად, ავეჯისა და ჭურჭლეულობისათვის და ეს ყველაფერი იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორი მცენარე მოიპოვება ჩვენს მიწა-წყალზე და რამდენადაა გავრცელებული. ცხადია პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება შესაძლებელი იყო მხოლოდ იქ, სადაც მრავალად მოიპოებოდა სასარგებლო მცენარე. მაგრამ უნდა ვსთქვათ ისიც, რომ მცენარეულობის გადაჭარბებული სიმრავლეც მავნებელი იყო. უტეხი, უზარმაზარი, თვალშეუვალი ტყეები მეტად აფერხებდნენ საზოგადოების წინსვლას. შვეთის პირველი დროის ისტორია—ეს მხოლოდ განუწყვეტელი ბრძოლაა ტყეების წინააღმდეგ.

იმისდა მიხედვით, თუ როგორი ნადირი მოიპოვება ადამიანის მახლობლად, იცვლება მისი ცხოვრება. თუ სასარგებლო ნადირი ადვილად იშოვება, და მისი ხორცით თავის გამოკვება იოლია, ადამიანი ძნელად ჰკიდებს ხელს მიწის მუშაობას. არიელების და სემიელების პირვანდელი საზოგადოებრივობა მეჯოგეობა იყო, რაიც შეუძლებელი იქნებოდა, რომ მათ ადგილებში მრავლად არ ყოფილიყო ადვილად მოსაშინაურებელი ცხოველი—ცხენი, ხარი, აქლემი, ცხვარი. ბევრი სხვა და სხვა ცხოველია, რომ ადამიანის დამხმარეა და ცხოვრების ტვირთს უმსუბუქებს. მაგრამ მრავალია ისეთი, რომელიც ადამიანს ებრძვის, ანადგურებს მის სარჩოს. ძველად მავნე ნადირებთან ბრძოლა საერო საქმე იყო. მგლებისაგან თავის დასაცავად ჯარი გამოყავდათ. მე მახსოვს ჩემის

ბავშობის ამბავი: თუ ვინმე ჩვენს სოფელში მგელს მოკლავდა, ტყავს კარ და კარ ჩამოატარებდა და ყოველი ოჯახი ვალდებული იყო თითო საინი ლომი და თითო კვერცხი მიეცა ჯილდოთ. ინდოეთში ლომები და ვეფხვები მთელს სოფლებს ამოსჭამენ ხოლმე. იქვე ყოველ წელიწადს 25 ათასი ადამიანი ჰკვდება გველის ნაკბენით. კალიები როგორ სპობენ ნათესს, ჩვენც კარგად ვიცით აფრიკაში ჭიანჭველები ერთიან ანადგურებენ საჭმელს, ტანსაცმელს, ლოგინს, ჭურჭელს. ერთმა პორტუგალელმა ვაჭარმა უთხრა ლივინგსტონს აფრიკაში: „ადამიანი, რომელიც დღეს მდიდარია, ხვალ შეიძლება სრულიად გაღატაკდეს თეთრი ჭინჭველების თავდასხმის წყალობითო“.

გადავიდეთ ეხლა მიწის მოყვანილობასა და ნიადაგზე. რამდენად მრავალფეროვანია და მდიდარი ნიადაგი, იმდენად სხვა და სხვანაირია ადამიანთა ცხოვრება. ნილოსის მიდამოები აბსოლიუტურად არ იყო მრავალფეროვანი, მაგრამ თუ შევადარებთ მეზობელ ადგილებს, დავინახავთ, რომ ეგვიპტე დიდ მრავალფეროვანობას წარმოადგენდა. ბაბილონ-ასურელების მიწა-წყალი მდიდარი იყო სხვა და სხვაობით შედარებით აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე ადგილებთან. ასევე მრავალის თვისებისა იყო ის ტერიტორია, სადაც აღმოცენდა ფინიკიელთა კულტურა. განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ საბერძნეთს. დედამიწის არც ერთს კუთხეს არ მოეპოვება ასე უხვად შეზავებული ზღვა, ხმელეთი, მდინარე, მთა და ველი. ყოველ ნაბიჯზე სხვანაირი ბუნება, სხვანაირი თვისებაა. მრავალფეროვანობა დამახასიათებელია საქართველოს მდებარეობისაც. არც ცენტრალური აზია, არც ცენტრალური აფრიკა, არც ორივე ამერიკის შუა ადგილი არ ყოფილა აკვანი ასე თუ ისე თვალსაჩინო ცივილიზაციისა. სპენსერი სწერს: „ისეთი

მიწა-წყალი, როგორსაც წარმოადგენს რუსეთის მინდვრები, შეიძლება გამოსადეგი იყოს უცხო კულტურის გადასანერგად, მაგრამ აქ არასოდეს აღმოცენდება საკუთარი დამოუკიდებელი ცივილიზაცია, ვინაიდან სუსტია გავლენა, რომელმაც უნდა გამოიწვიოს საზოგადოებრივი დიფერენციაცია.“ თუ ნიადაგში მოიპოვება მადნეულობა, ეს ბუნებრივად იწვევს მთამადნის მრეწველობის განვითარებას. სადაც ილეკრო არ მოიპოვებოდა, იქ შეუძლებელი იყო თავი დაეხწია ადამიანს ქვის იარაღებისათვის. სადაც ქვა, კირი, დუღაბი საშოვარი იყო, უეჭველია იქ შენობები სხვანაირი სახის იქნებოდა, ვიდრე იქ, სადაც იმის შოვნა ძნელი იყო. ჩვენი ძველის ძველი ტუბალ-კაინი თუ „კვერით ხურო იყო, მჭედელი რვალისა და რკინისა“, მიტომ, რომ მადნის ადგილებში ცხოვრობდა.

თუ მიწა-წყალი მინდორსა და ველს წარმოადგენს, ადვილია ხალხის გაშლა. თუ ადგილს სადმე ბუნებრივი საზღვარი აქვს მაინც დადებული—მთა, მდინარე, ზღვა, — ამ ადგილის მცხოვრებნი იოლად კავშირდებიან, ან ერთი მეორეს იპყრობს, იმორჩილებს. სამაგიეროდ თუ მიწა მთიანია, ცალკე თემები დამოუკიდებლად არსებობენ, მთა ანვითარებს მათში შეუპოვრობას და უდრეკელობის სულს. ეს აძნელებს მათ დაპყრობას და შეჯგუფებასაც. ილირიელებმა თავის მთების წყალობით თავისუფლება დაიცვეს ბერძნებისაგან და წინააღმდეგობა გაუწიეს მაკედონელებს ალექსანდრეს დროს. ასეთსავე მაგალითს გვაძლევენ შვეიცარელები და ჩერნოგორელები. თუ როგორ მედგრად ებრძოდნენ კავკასიელი მთიელელები რუსეთს,—ყველამ კარგად იცის. რომაელები ორი საუკუნის განმავლობაში ამაოდ იდგნენ ალპების წინაშე, ვიდრე მოახერხებდნენ გადასვლას. საქართველო რომ ვერ მოსპო საშსებით ურიცხვმა მტერმა და დაუსრულებელმა ბრძო-

ლამ, ამის მიზეზი იყო ჩვენი სამშობლოს მთიანი მდებარეობა და ძნელად მისადგომი ადგილები. ეს იყო სხვათაშორის იმის მიზეზიც, რომ იგი რამდენსამე სამეფოდ და სამთავროდ დაქუცმაცდა—ერთი თემი ადვილად გაურბოდა მეორე თემის შესევას და ძალას.

განუსაზღვრელია ზღვის გავლენა. ადამიანი ხმელეთის ცხოველია და წყალი პირველ დროს დიდად აბრკოლებდა მის ზრდას, მოძრაობას. მაგრამ იმ დღიდან, რაც ადამიანმა პირველი ნავი გააკეთა, პირველი ტივი გაუშვა და ფეხი მოიდგა წყალზე, წყალი უძლიერესი საშუალება შეიქმნა საზოგადოების განვითარებისათვის. თანამედროვე ინგლისის ძლიერება ზღვაზეა დამყარებული. რომი თუ მსოფლიოს ბატონი შეიქმნა, იმის წყალობით, რომ ხმელთა შუა ზღვას ეკრა. საბერძნეთის მაღალი კულტურის ერთი მთავარ მიზეზთაგანი იყო ზღვის ნაპირების სიმრავლე. ზღვა ფრიად უწყობს ხელს მისვლა-მოსვლას, აფართოვებს ადამიანის გონებას, ფრთას უშლის მის შემოქმედებას. ზღვის ნაპირას მცხოვრები მუდამ ახლის მაძიებელი და მკვლევარია. მისი სული ყოველთვის წინ მიისწრაფვის, შორს მიილტვის. ზღვის ნაპირას ვითარდება ქალაქური ცხოვრება, ვაჭრობა, მრეწველობა. აღსანიშნავია კუნძულური მდებარეობა. ასეთი ადგილის ხალხი ადვილად იცავს თავის დამოუკიდებლობას, აქ მუშავდება თავ-სუფალი ხასიათი, იჭედება სიმტკიცე და ენერგია. დიდი განსხვავებაა ინგლისსა და იაპონიის შორის, მაგრამ მათ მკვიდრთა შორის ბევრი რამ საერთოცაა იმიტომ, რომ ორივე ქვეყანა კუნძულს წარმოადგენს.

მდინარეები თითქოს ზღვის ტოტებია, და საუკეთესო გზა ცივილიზაციისათვის. მდინარე მრავალ სიმდიდრეს იძლევა, რწყავს მიდამოებს, ადვილებს მიმოსვლას. ყოველი პირვანდელი მოსახლეობა მდინარის ნაპი-

რებთან იყო. ყოველი ზრდა მდინარის პირებს მიჰყვება. ამბობენ--ეგვიპტის კულტურა ნილოსმა აღმოაცენაო. წარმოუდგენელია ბაბილონის კულტურა და ვერც სპარსულ-არაბულის კულტურას იხილავდა ისტორია, რომ ამ ადგილებს არ აცხოველებდნენ ტიგროსი და ეფრატი...

ბევრი მაგალითი შეგვეძლო კიდევ დაგვესახელებინა, თუ როგორ საზღვრავს ბუნება ადამიანის და საზოგადოების განვითარებას. მაგრამ ჩვენი მიზნისთვის ესეც საკმარისია. ჩვენი მაგალითები შეეხებოდა, ასე ვსთქვათ, გარეგნულ პირობებს, რომლებიც აძლევენ მიმართულებას ადამიანის მოღვაწეობას, უჩვენებენ გზას, საითკენ უნდა მიმართოს მან თავისი გონება, რომლებიც არკვევენ ქონებრივის, საზოგადოებრივის, პოლიტიკურის მდგომარეობის ფარგლებს. რასაკვირველია ამ პირობებს გავლენა აქვთ ადამიანის ფიზიკურ და სულიერ აგებულებაზედაც, ისინი ჰქმნიან განსაზღვრულს ტიპს, სახეს, ხასიათს. მაგრამ გეოგრაფიული პირობები პირდაპირაც მოქმედობენ ადამიანის სულიერ აგებულებაზე, ანვითარებენ განსაკუთრებით ამა თუ იმ მხარეს. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ბუნება, დიადი, მრისხანე, ლამაზი, მწირი თუ მდიდარი—იცვლება ადამიანის გონება, ნიჭი და საერთო მსოფლმხედველობა. საკმარისია გავიხსენოთ აქ ის დაპირისპირება ინდოეთისა და საბერძნეთის, რომელსაც აგვიწერს ცივილიზაციის მკვლევარი ბოკლი. „ბუნების მოვლენანი, რომლებიც ინდოეთში წარმოადგენენ საშინელ სიდიადეს, საბერძნეთში გაცილებით ნაკლებნი არიან თავის სიდიდით, სუსტნი და მცირედად მრისხანენი ადამიანისთვის. ინდოეთის ტროპიკული ჰავა მეტად მავნებელია, აქ აღმართულია უზარმაზარი მთები, რომელთა მწვერვალები თითქოს ცას სწვდებიანო; მათ კალთებიდან დაეშვებიან მძლავრი მდინარენი, რომელთა გადალახვა არ ძალუძს არავითარ ხიდს, რომელთა კალა-

პოტს ოდნავად ვერ შესცვლის ადამიანის ხელობა და ცოდნა; აქაა უზარმაზარი, თვალმიუწვდენელი უტეხი ტყეები, მთელი მხარეები დაუსრულებელი შამბითაა დაფარული, იმას იქით კიდევ უსაზღვრო ველებია, — ყველაფერი ეს აფრთხობს ადამიანს, იწვევს მასში უძლურების გრძნობას და შიშს. ინდოეთს ორის მხრით აკრავს დიდი ზღვა, სადაც საშინელი ქარიშხალი და ღელვა იცის, რომლისგან თავის დაცვა ყოვლად შეუძლებელია. ყველაფერი თითქოს განზრახ ისეა მოწყობილი, რომ შეზღუდოს ადამიანის მოქმედება"... სულ სხვა სურათს წარმოადგენს საბერძნეთი. ინდოეთსავით იმასაც ნახევარი კუნძულის მდებარეობა აქვს. სივრცე პატარა უკავია, ადვილად შეუძლია მიმოსვლა აღმოსავლეთისკენ — მცირე აზიასთან, დასავლეთისკენ იტალიასთან, სამხრეთისკენ ეგვიპტესთან. ჰავა სალია; მიწის ძვრა, ქარიშხალი იშვიათია. ნაკლებად შეგვხდებათ მხეცი და მავნებელი ცხოველი. უდიდეს მთას გიმალაის მესამედი სიმაღლე არა აქვს. არც დიდი მდინარეებია.

ამ ბუნების სხვა და სხვაობისგან წარმოიშვა ინდოელის და ბერძნის სულიერი განსხვავება. ინდოელი ისე დამონებულია მრისხანე ბუნების, რომ საკუთარი თავის რწმენა ნაკლები აქვს, მისი გონება შებორკილია, სამაგიეროდ ფრთა გაშლილია მისი ფანტაზია, ოცნება. მისმა შემეცნებამ საზღვარი არ იცის. ამის კვალი ამჩნევია ყოველს მის შემოქმედებას. მისი ღმერთი საშინელი არსებაა, ტანს გველების სარტყელი არტყია, გულს ადამიანის ძვლების მძივი უმშვენებს, ხელში ადამიანის თავის ქალა უკავია.

ბერძნის სული კი ასე არაა დამონებული და სასოწარკვეთილი. ბუნება მას ეალერსება, მეგობრობს, ნდობას და სიყვარულს იწვევს. ბუნება ამხნევებს და აქეზებს ადამიანს. ბერძენი არ ხედავს გარემო საშინელებას და მუქარას. მისი ღმერთი ადამიანის მჭამელი არაა,

იგივე ადამიანია, მხოლოდ უფრო ლამაზი, უფრო ძლიერი, უფრო გონიერი. ბერძნის ყოველივე შემოქმედება ადამიანურია, აქ ადგილი არა აქვს უსაზღვრო ფანტაზიას; შიშსა და ცრუმორწმუნოებას არ შეუბოჭავს ადამიანის გონება. ამ ნიადაგზე აღმოცენდა ის ჰარმონიული სულიერი განწყობილება, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ელენთა მოდგმისა...

II

ამ გვარად როგორც ვხედავთ, ადამიანის, საზოგადოების არსებობა და განვითარება ათასნაირის ქსელით და ხლართით გადამბულია ბუნების სხვა და სხვა თვისებაზე. მაგრამ როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ეს არაა ერთად-ერთი გარემოება, რომელიც სავსებით საზღვრავდეს ცხოვრებას. ადამიანი ვითარდება საზოგადოებაში. მარტო საზოგადოებაშია შესაძლებელი განვითარება, მარტო საზოგადოება შეიცავს იმ ჩანასახს, რომელიც თანდათან ვითარდება და იშლება მრავალთა შეთანხმებულის მუშაობით.

ეკონომიურობის უდიდესი გამარჯვება იყო, როცა ადამიანებმა დაიწყეს შეკავშირება, კოლექტიური ერთიანობის შედგენა. რამდენად ჩვენი გონება მისწვდება, უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ადამიანის ძველის-ძველი წინაპარი, ადამიანი— პიროუტყვი, გაჩნდა პირველად აზიის და აფრიკის ცხელ ადგილებში. აქედან მოხდა მისი გავრცელება, გადასახლება სხვა და სხვა მხარეში, რომელსაც თან სდევდა დანაწილება ადამიანთა მოდგმისა რასებად, ჯგუფებად, ოემებად, ტომებად.

პირველყოფილი ადამიანი მეტად უძლური, უგნური, განუვითარებელი არსება პირდაპირი მონაა ბუნებისა და სავსებით ისე ცხოვრობს და მოქმედობს, როგორც ამას უბრძანებს ბუნება. თუ მიწამ რაიმე მცენარის ნაყოფი, ან ნადირი მიაწოდა, თუ მზემ სითბო არ მოაკლო, ადამიანი ცოცხლობს, თუ არა და, უდროოდ გამო ესალმება წუთისოფელს. არ ძალუძს შეებრძოლოს მტაცებელ მხეცებს, სიმშილს, სნეულებას. არ იცის ბუნების მოვლენათა გათვალისწინება, არ იცის არავითარი თავდარიგი, არა აქვს არავითარი იარაღი. ესაა მიზეზი, რომ ეს სუსტნი არსებანი ინსტიქტიურად უერთდებიან ერთიმეორეს, რომ ერთად გამონახონ საზრდო, თავი ერთად დაიცვან. პირველყოფილი ადამიანის მისწრაფება დიდი არაა: უნდა მხოლოდ თავი გამოიკვებოს და სხვამ, მხეცმა ან მისმა მსგავსმავე ადამიანმა არ შესჭამოს. იგი დაეხეტება ტყე ველად, სჭამს ბალახს, ნადირს, თევზს, თუ გაუჭირდა, საკუთარს შვილსაც და მშობელსაც და პირუტყვივით იკმაყოფილებს სქესობრივ მოთხოვნილებას სადმე ოდნავად მიფარულ ადგილას. მაშინდელი საზოგადოებრივი ერთეული უფრო ურდო, ჯოგი იყო, ვიდრე საზოგადოება. მოკლებულია ორგანიზაციას, სიმტკიცეს, ადათს, ზნეობას. ყველაფერი არეულ-დარეულია, არ არის არავითარი ნათესაობა და ადამიანთა ხროვა ემორჩილება დროებით ძლიერს წინამძღოლს, რომელიც უნარს გამოიჩენს სანადირო ადგილების გამონახვაში, კარგი მონადირეა და მკლავი ემარჯვება მტრის შესამუსრავად.

მაგრამ ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა სიმშილთან და მტრებთან, ბრძოლა ერთი საზოგადოებისა მეორესთან იწვევს ნელ-ნელა საზოგადოებრივ განვითარებას. ის საზოგადოება სძლებს, ის ჰპოულობს უფრო საზრდოს, უფრო მოიგერიებს მხეცებს, თავდამსხმელებს,

უფრო აჯობებს მოქიშპეებს, რომელიც მეტს მიმხვედრელობას გამოიჩენს, უფრო შეკავშირებული იქნება, სადაც ერთი-მეორეს ადვილად მიჰყვება, სადაც მეტი ჭკუაა, მეტი გამოცდილებაა დაცული. ჩნდება სქესების შეუღლება, პირველ ხანად ჯგუფობრივი, ჩნდება ოჯახი, ნათესაობა, ოჯახების შეერთება, თემი. ადამიანი უფრთხილდება სანადირო ადგილებს, იცავს და უვლის. ზოგს ცხოველს ატყვევებს და შინ ამწყვდევს, ინახავს, რომ მაშინ შესჭამოს, როცა ნადირის დაჭერა ვერ მოუხერხდება. აგროვებს და ახმობს სამერმისოდ მცენარეთა ნაყოფს. ახერხებს, რომ თვითონვე დასთესოს და მოიყვანოს ზოგიერთი მცენარე.

ასე თანდათან მძიმე ნაბიჯით ფეხს იკიდებს კულტურა, რომელიც თავდაპირველად მჭიდროდ არის დაკავშირებული ბუნების თვისებასთან, მაგრამ შემდეგ და შემდეგ დამოუკიდებელ არსებობას მოიპოვებს. დაძლევა იმის, რაც აბრკოლებს ადამიანის სიცოცხლეს და ზრდას, არის კულტურა. ერთი უდიდესი კულტურული საშუალება იყო ცეცხლი, რომელიც ალბად ჯერ შემთხვევით შეიძინა ადამიანმა და მხოლოდ მერე ისწავლა მისი გაჩენა ხელოვნურად გამხმარი ხის ტოტების ერთმანეთზე ხეხვით და კვეს-აბედით. პირველყოფილი ადამიანის უძლურებას ის შეადგენდა, რომ შედარებით სუსტი ხელების მეტი არა გააჩნდა რა, ამიტომ დიდი დაწინაურება იყო, როცა პირველი იარაღი გაიკეთა. ეს იარაღი ჯერ უბრალო ქვის ნაცეხი იყო, ან წვეტიანი ხის ტოტი, ან ნადირის ძვალი, ან თევზის კბილი. შემდეგ ისწავლა მხოლოდ ადამიანმა ილეკროს დამუშავება და ამ დღიდან აკეთებს მრავალნაირ იარაღს სხვა და სხვა საჭიროებისათვის —იარაღს ხმარობს როგორც მხეცების, ასე ადამიანების წინააღმდეგ. ამასთანავე ერთად ეჩვევა ჭურჭლის გამოთლას ხისა თუ ქვისაგან, მექოთნეობას; სწავლობს

დაწნას და ქსოვას. მოახერხებს ორი ხის ერთმანეთზე გადაბმას და ამის საშუალებით გადადის მდინარეს, მერე აკეთებს ნავსაც. პირველად მისი თავშესაფარი გამოქვაბული კლდეა ან ხშირფოთლიანი ხე. შემდეგ კი თვითონვე ასობს ხის ტოტებს ან შეალაგებს ერთმანეთზე ქვებს—როგორც უფრო ემარჯვება—და გადახურავს ფოთლებით და ამრიგად იშენებს პირველ სახლს. თუმცა ცხელსა და თბილს ადგილებში ტანის შემოსვა საჭირო არ იყო, მაგრამ სასირცხვილო ნაწილების დასაფარავად და თავის მოსართავად ადამიანი გამოიგონებს ტანისამოსს.

ვიდრე ადამიანი მხოლოდ მონადირეა ან მეჯოგე და ერთად ერთს მის სიმდიდრეს, ქონებას, საქონელს შეადგენს მოშინაურებული ცხოველი, პირუტყვი საქონელი (ამ მნიშვნელობით სიტყვა საქონელი ქართულში დღემდი შერჩა შინაურ პირუტყვებს)—იმან არ იცის მუდმივი ბინადრობა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის, სადაც უკეთესი საძოვრებია. მაგრამ როგორც კი ხელს მოჰკიდებს მიწის დამუშავებას, იგი მჭიდროდ უკავშირდება ნიადაგს. მიწა უკვე გარეგნული საგანი არაა მისთვის, იგი დაამუშავებს მიწას, საკუთარ ოფლსა ჰლვრის შიგ. თვით ანაყოფიერებს, მიწა იცვლება მისი მკლავის მეოხებით, მცენარის თესლთან ერთად მიწაში ითესება ადამიანის შრომა, მოქმედება, ცოდნა, ადამიანი ეთვისება მიწას და ამიერიდან ნათესაურის, თემურის კავშირის გარდა მყარდება კავშირი განსაზღვრულ მიწასთან, ნიადაგთან. ადამიანებს აერთებს არა მხოლოდ ის, რომ ერთის სისხლისანი არიან, არამედ ისიც, რომ ერთ მიწაზე სცხოვრობენ. თუ წინად ჯოგის დაცვა იყო მთავარი საქმე, ეხლა უდიდესი ყურადღება მიქცეულია ტერიტორიის, მიწა-წყლის დაცვაზე. ისახება შეგნება მამულისა, სამშობლოსი.

მიწათ-მოქმედება განვითარების მაღალი საფეხურია.

მისთვის საჭიროა გავარჯიშებული მუშაობა. იგი მოითხოვს სამუშაო იარაღების გაუმჯობესებას. ამას აუცილებლად თან მოსდევს შრომის დანაწილება. ჩნდებიან ხელოსნები, სპეციალისტები, რომლებიც პირველად მხოლოდ საკუთარ თემისთვის ამზადებენ იარაღებს, ჭურჭლებს, სხვა და სხვა სახმარებელ ნივთებს, ხოლო მერე ბაზარზედაც გააქვთ გარეშეებისთვის. იწყება ვაჭრობა, რომელიც თავის მხრით იწვევს ხელოსნობის, წარმოების ზრდას და გაფართოვებას.

ამასთან ერთად იცვლება სოციალური ურთიერთობა. პირველყოფილმა საზოგადოებამ თითქმის არ იცის კლასობრივი და წოდებრივი დანაწილება, უთანასწორობა. იქ ყველაფერი საერთოა, ყველა ერთნაირად მშიერია ან ერთნაირად მაძღარი, რადგან არა აქვთ-რა შესანახი, საქონელი. რასაც იშოვნიან, მოინადირებენ, იმ დღესვე ან მეორე დღეს უნდა შეჭამონ, გაათავონ, შენახვა და თადარიგი არაფრისა იციან. მაგრამ კულტურულ წარმატებასთან ერთად უპირატესობას მოიპოვებენ წინამძღოლები—უკეთესი მონადირეები ან უკეთესი მეომრები, რომლებიც აირჩევენ ნანადირევის საუკეთესო ნაწილს, ტყავს, ძვლებს სამკაულისთვის, თავისთვის იტოვებენ მტრის დამარცხების შემდეგ მთელს ნადავლს ან უმეტეს ნაწილს მაინც; ეს უთანასწორობა მით უფრო იზრდება, რაც უფრო მეომარია თემი, რაც უფრო ხშირად უხდება მას ბრძოლა მეზობლებთან. ომიანობის განვითარება ხელს უწყობს მონების გაჩენას, ველური მტერს რომ ამარცხებს, მოჰკლავს და შესჭამს, რადგან არ იცის მისი შრომის გამოყენება, რადგან შრომას საზოგადოთ მისთვის ფასი არა აქვს. მაგრამ შემდეგ ატყვევებს დამორჩილებულ მტერს, მიჰყავს სახლში და ამონავებს, აკეთებინებს სხვა და სხვა სამუშაოს.

საერთოდ შენიშნულია, რომ სოციალური დანა-

წილება გამოწვეულია ყველგან შრომის განაწილებით, ცხოვრების გართულებით. რაკი მიწას ფასი დაედვა, რაკი ფასი დაედვა შენახვას და შენახულს, გაჩნდა საქონელი, საქონლის გაცვლა, ყიდვა-გაყიდვა, გაჩნდა სიმდიდრე, — აუცილებლად უნდა მომხდარიყო ქონებრივი დიფერენციაცია, დაყოფა წოდებებად და კლასებად.

კულტურული ზრდა მარტო ქონებრივ საშუალებათა მოპოვება და განვითარება არაა. სულიერ კულტურას არა მცირედი მნიშვნელობა აქვს ადამიანის კეთილდღეობისათვის. ამ კულტურის უპირველესი გამოხატულებაა ენა. თვითონ ცხოვრებამ ბუნებრივად წარმოშობა ენა, ურომლისოდ შეუძლებელი იყო რაიმე საზოგადოებრივობა, წარმოუდგენელია კავშირი და ურთიერთობა, თუ არაა საშუალება ერთმანეთის გასაგებად, ერთმანეთის აზრის გადასაცემად. პირველი ენა—ეს მხოლოდ განმეორება იყო ადამიანის ინსტიქტიური ამოძრავებისა, მიბაძვა ბუნების მოვლენათა ხმაურობისა და ცხოველთა ყვირილისა და მხოლოდ ნელ-ნელა განვითარდა საზოგადოების არსებობის პირობებისა და თავგადასავალის გავლენით. ენას თან მოჰყვა თვლა, ანგარიში ხუთეულის, ათეულის და ოცეულის სისტემის და მერე წერა, რომელიც ჯერ ნახატებს წარმოადგენდა, მერე შემოკლებული ნიშნები იყო და ბოლოს მიიღო ის მარტივი მოხაზულობა, როგორიც აქვს მაგალითად ჩვენს ანბანს.

ადამიანის გონება როგორც კი იწყებს მოძრაობას, იგი ძალაუნებურად აკვირდება საკუთარი არსების და გარშემო ბუნების ურთიერთობას, იძიებს მოვლენათა მიზეზებს და ერთი მისი უპირველეს დასკვნათაგანი არის ის, რომ ადამიანის სიკვდილი მართლა არ ნიშნავს სიკვდილს, მოსპობას. ადამიანშია სული, მეორე მე, რომელიც არ ჰქრება; სტოვებს გვამს, მაგრამ იქვე ახლო

ბინადრობს და განაგრძობს არსებობას. სხვათა შორის ჩვენს ენაშიც არის დარჩენილი ამის კვალი: ადამიანი რომ მოკვდება, „მიიცვალაო“—ვიტყვით, ე. ი. შეიცვალა, სახე გამოიცვალა, მაგრამ კი არ მოსპობილა. ადამიანს რომ გული შეუწუხდება, გრძნობას რომ დაჰკარგავს, ვამბობთ: „გული წაუვიდა, სული წაუვიდა“ და როცა კვლავ გონს მოვა—„მობრუნდა“, ე. ი. სული მობრუნდა, ისევ მოვიდა. ადამიანის სული იქვე თავის სახლ-კარის მახლობლად რჩება, და შეუძლიან დაეხმაროს ან ავნოს ცოცხლებს. მან შეიძლება საცხოვრებლად რომელიმე ცხოველი, ხე, მთა აირჩიოს. სულები ყველგან არიან. მთელი ბუნება სავსეა, ყველაფერი იმათგანაა—ქარი, წვიმა, ნიაღვარი. სულებს პატივისცემა სჭირიათ, თაყვანი უნდა სცენ ცოცხლებმა, თუ უნდათ, რომ ეს სულები მათი შემწენი და მეგობრები იყვნენ. ასე ისახება სარწმუნოება, რომელიც მერე მეტად რთულს ხასიათს მიიღებს.

სარწმუნოებასთან დაკავშირებულია მხატვრობის, ცეკვის, სიმღერის წარმოშობა. ადამიანი სცდილობს ხეზე, ქვაზე გამოხატოს თავის ბატონის, უფალის, ღმერთის სახე. დარწმუნებულია, რომ ამ გამოხატულებაში მოთავსდება თვითონ ძლიერი სული და ამით მუდამ თან ეყოლება; სადაც კი წავა, თან წაიღებს და წაიტანს ამ ღვთაებას. ღვთის გულის მოსაგებად საჭიროა, რომ მას მუდამ ვაამებდეთ, მოვიგონებდეთ სულის თავგადასავალს, წარმოვადგენდეთ ამას მოძრაობით, მოქმედებით, ცეკვით. საჭიროა, რომ ქება შევასხათ კერპს გაბმულის სიტყვით, სიმღერით. ასეთივე წესით აპატიოსნებს ადამიანი ყოველს ძვირფასს მიცვალებულს და ესალმება მის ცხედარს. მაგრამ მიცვალებული ხომ არ კვდება მართლა, მისი სულიც იქ მიდის, სადაც ღმერთები და წინაპართა სულები იმყოფებიან. იგი ერთნაირი ღმერთია და თუ ამ ქვეყნად

კეთილი იყო ჩვენთვის, საიქიოსაც კეთილი დარჩება და დაგვეხმარება.

ამ ნიადაგზე აღმოცენდება და განვითარდება მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა, მოთხრობა, დრამატიული ხელოვნება. რასაკვირველია უნდა დავსძინოთ ისიც, რომ ყოველგვარი ხელოვნების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სქესობრივ გრძნობას—ბრძოლით თავის სატრფოს, საწადელის მოსაპოვებლად, მოქიშპის დასამარცხებლად. ამის საუცხოვო მაგალითია ფრინველთა გარეგნული მოკაზმულობა და გალობა, რომლითაც ისინი ხიბლავენ და თავს აწონებენ მეორე სქესის არსებას. უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ რითმს ხმისას და მოქმედებისას მნიშვნელობა აქვს მუშაობის გასაადვილებლად და ადამიანები ბუნებრივად მიმართავდნენ ამ საშუალებას მძიმე ცხოვრების ტვირთის შესამსუბუქებლად...

როგორც უკვე მოვიხსენიეთ ზევით, პირველადელი საზოგადოება წარმოადგენდა ჯოგს და მის არსებობას ასე თუ ისე შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. იგი მტკიცე შეიქნა, როცა ადამიანებში ჩაისახა ნათესავობის შეგნება და ეს ნათესავობა დაემყარა ჩამომავლობას ერთის დედისაგან. ასე შეიქნა თემი, ნათესავების კავშირი. მეტად გაფართოვებული თემი, რომელიც ვერთავსდებოდა ერთ ადგილას, იშლებოდა, ნიწილდებოდა რამდენსამე ერთეულად.

მაგრამ ამასთანავე ერთად ხდებოდა მეორე პროცესიც—გაერთიანება თემებისა ან ნებაყოფლობით ან ერთმანეთის დაპყრობით და თუ ერთდებოდნენ მონათესავე თემები, მათი კავშირი უფრო მტკიცე იყო, ვიდრე მაშინ, როცა შეკავშირებული თემები სულ სხვა და სხვა მოდგმას ეკუთვნოდნენ. ხანგრძლივი დროის განმავლობაში განსხვავებული თემებიც გაითქვიფებოდნენ ერთი-მეორეში, უნათესავდებოდნენ და ეთ-

ვისებოდნენ ურთერთს და ჩნდებოდა ახალი მოდგმა, ახალი თემი, ტომი.

საზოგადოებრივი ერთეულის არსებობა მოითხოვს განსაკუთრებულ წესებს. ამ წესებს თავდაპირველად ჩვეულებათა, ადათების ინსტიქტიური ხასიათი აქვთ. მხოლოდ შემდეგ მიიღებენ შეგნებულად შემუშავებულის კანონების სახეს. საზოგადოების—თემის, გვარის, ტომის სათავეში დგას უფროსი, რომლის თანამდებობა შემდეგ გადადის ერთიდან მეორეზე, ან უფროსს ირჩევს ყრილობა. არსებობს უხუცესთა საბჭო, ან დროგამოშვებით იკრიბება მთელი ხალხი, რომელიც თემის ან ტომის უფროსთან ერთად განაგებს საქმეებს. თუ საზოგადოებას ხშირად უხდება ომი—და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ ცხოვრობს მის მეზობლად—ეს დიდს გავლენას ახდენს მის აგებულობაზე, აქ ყველაფერი მკაცრს დისციპლინას, ბრძანებას ემორჩილება. უფროსი თან და თან ძლიერდება, ყველას უპასუხისმგებლო ბატონი ხდება, ართმევს ყოველსავე ძალას საბჭოს და ხალხის კრებას. იგია ჯარის წინამძღოლი, ყოველ სათემო და სატომო საქმის გამრიგებელი და ეკლესიის მთავარი ქურუმიც, მისი სახელით წარმოებს სამართალიც.

სულ სხვანაირია საზოგადოება, სადაც ომიანობას ნაკლები ადგილი აქვს. იქ ცხოვრება უფრო თავისუფალ კავშირს ემყარება, არ ვხედავთ სამხედრო წოდებას, კასტას. საერთო საკითხები, ყოველ შემთხვევაში მთავარი საკითხები წყდება ხალხის საერთო სურვილით.,

ასეთია მოკლედ სქემა ყოველი საზოგადოებრივი განვითარებისა. მარტივი, სადა, ერთფეროვანი საზოგადოება თან და თან იზრდება, რთულდება და ხდება მრავალფეროვანი. თუ პირველ ყოფილი ადამიანი სრული მონაა ბუნების და ყოველი მისი მოქმედება ბუნების ნაკარნახევია, ბუნების და ადამიანის დამოკიდებუ-

ლება უშუალავლო, პირდაპირია, არის მხოლოდ ერთად ერთი წრე—ბუნების წიალი, რომელშიაც არსებობს და იზრდება ადამიანი, შემდეგ პროცესში ჩვენ ვხედავთ, რომ ადამიანი ჰქმნის საზოგადოებას, ახალს წრეს, რომელიც მისსა და ბუნებას შორისაა და ერთიდან მეორეზე გადასცემს მოქმედებას. ეხლა ადამიანი უკვე პირდაპირ კი არ განიცდის დედამიწას—მისი ჰავის, მდებარეობის, თვისებების გავლენას, არამედ საზოგადოების საშუალებით. საზოგადოება ერთგვარი საცმელია, რომელიც ჰმოსავს ადამიანს და იფარავს მას ბუნების პირდაპირი მოქმედებისაგან. საზოგადოების შექმნილ იარაღით, წესით, ცოდნით ადამიანი ებრძვის ბუნებას, შესცვლის მის მავნებელ და საზიანო მოვლენებს, სარგებლობს და ეთვისება ისეთებს, რომლებიც ხელს უწყობენ მისი ცხოვრების გაფართოვებას.

ადამიანი ბუნების და კულტურის ნაყოფია, ხოლო კულტურა საზოგადოებაა, საზოგადოებრივი ატმოსფერაა, რომელშიაც ვცხოვრობთ და ვიზრდებით. ადამიანი კვდება, როგორც კი მოწყდება ბუნებას, მაგრამ იღუპება მაშინაც, როდესაც განკეთვილია საზოგადოებისაგან. ადამიანი, კერძო პიროვნება, რაც უნდა მდიდარი და მაღალი იყოს, ჰქრება, მიდის. საზოგადოება უკვდავია, ადამიანის ფიქრი და გრძნობა წაიშლება, საზოგადოებრივი შემეცნება და კულტურა მუდამ არსებობს. ადამიანი გადასცემს თავის შემოქმედების ნაყოფს საზოგადოებას, იქ აგროვებს ყველაფერს, რაც ღირსებითაა შემკული, რაც ძვირფასია, რაც გვასწავლის ცხოვრებას. აქ ინახება ფიზიკური გაუმჯობესობაც, რადგან ყოველი სისაღე, სიმთელე, სილამაზე შეძენილი კერძო პიროვნების მიერ, გადაეცემა ჩამოთვლობათ და ამშვენიერებს მთელს მოდგმას.

ადამიანი მოკვდა, წავიდა, მაგრამ გაჰქრა ის მომ-

ხიბლავი ხმა, რომელიც აღმოხდა მის გულს, ნაზი სიმღერა, მოხდენილი მისი ცეკვა, გმირული საქმე, სათნო მოქმედება, მადლი, სიკეთე? არა. ყველაფერი ეს აღბეჭდილია მომავალთა გულების ფიცარზე, მათ სისხლშია გალესილი, მით სულდგმულობენ ყველანი. ადამიანი იბადება, არა-რაა; იგი მიიღებს ენას, კულტურას, ზნეს, ჩვეულებას საზოგადოებისაგან. მასვე გადასცემს, რაც თვითონ შეიძინა, შექმნა, წარმოშვა. საზოგადოება სალარია ყოველივე განძის—სულიერის და ფიზიკურის. აქაა ადამიანობის ყოველი ნაშთი, აქაა ადამიანის მთელი თავ-გადასავალი, მისი ავი და კარგი. ადამიანის ისტორიას ქაღალდზე დაწერა არ სჭირია, იგი დაწერილია საზოგადოების სახეზე, რომელიც დღეს არსებობს, და დაიწერება იმაზე, რომელიც ხვალ იარსებებს.

ადამიანი არ ცხოვრობს განკვეთილად, საკუთარის არსებით. იგი ნაწილია, ერთი ატომია საზოგადოებრივი სხეულისა და მის გარეგნობასა და სულიერ თვისებებზე აღბეჭდილია მხოლოდ ის, რაც განიცადა, რაც განვლო მთელმა საზოგადოებამ. მხოფლიო პროცესისათვის სრულიად საინტერესო არაა ადამიანის კერძო ვინაობა, ეს შეუმჩნეველია,—გვინდა გავიგოთ, რომელი საზოგადოებრივი ერთეულის შვილია, ვინაიდან მხოლოდ ეს არკვევს სინამდვილეს და ათას ცვლილებათა ქაოსში ეს გვიჩვენებს ნათელ გზას. ჰქმნიან, შემოქმედნი არიან საზოგადოებანი და არა ადამიანები, ცხოვრობენ კოლექტივები და არა ინდივიდები. ისტორია, არის ისტორია საზოგადოებრივი ერთეულებისა და არა ცალკე ადამიანების, თუნდაც გამოჩენილების, ზეკაცების. ისტორია განუწყვეტლობა, განუკვეთელობაა და ასეთია მარტოდ მარტო საზოგადოება, რომლის გუშინდელი არის დღევანდელი და დღევანდელში ისახება უკვე ხვალინდელი დღე,

რაკი ასეთი მძლავრია და დიადი საზოგადოების

მნიშვნელობა ადამიანის ბუნების გასარკვევად, ცხადია, თუ რა ღრმად შესცვლიდა ადამიანის გარეგნულს და გონებრივ-ზნეობრივ სახეს სხვა და სხვა საზოგადოებრივი პროცესი. რამდენად მარტივი იყო პირვანდელი საზოგადოება და ერთფეროვანი, იმდენადვე სადა იყო პირველი ადამიანი, ერთფეროვანი, და ერთი საზოგადოების წევრი ნაკლებად განსხვავდებოდა მეორე საზოგადოების წევრისაგან. მაგრამ მოკლე სოციოლოგური სქემატიური სურათიდან დავინახეთ, როგორ რთული ხდება საზოგადოება, როგორ ფართოვდება მისი ფუნქციები, როგორ ნაწილდება საზოგადოება ცალ-ცალკე წოდებად, დაწესებულებად, ცალკე ორგანოებად.

თუ პირველს საზოგადოებას ერთი საზრუნავი აქვს, ნადირის მოკვლა და თავის დაცვა მხეცებისაგან, შემდეგში მისი მოღვაწეობა მეტად მრავალფეროვანდება: მან უნდა იზრუნოს არა მარტო გამოსაკვებ საშუალებისათვის, უნდა შექმნას მთელი რაზმები მტრების საწინააღმდეგოდ, დააკმაყოფილოს თავის წევრთა სულიერი მოთხოვნილებანი. თუ პირველად საზოგადოების გაძღოლა ერთს ადამიანს შეუძლია, მერე მისი თანამდებობა ისე რთულდება, რომ სჭირდება ათასი დამხმარე და თანაშემწე. თუ თავში ერთი და იგივე ადამიანი მონადირეც არის ან მიწათმოქმედი და მეომარიც, ხელოსანიც, დროთა განმავლობაში ყოველი საქმისთვის სპეციალისტი ჩნდება, რომელიც განსაკუთრებულს ერთს საქმეს აკეთებს. ჩნდება ცალ-ცალკე დარგი სამართველო მუშაობის, სამხედროსი, სამრეწველოსი. სულიერი კულტურაც ნაწილდება, ცალკე საკუთარის გზით მიდის ეკლესია, ხელოვნება, მეცნიერება. ყოველი დარგი კულტურისა, ყოველი დაწესებულება, რომლებიც თავში ერთად შკრეულნი იყვნენ, ეხლა ვითარდება დამოუკიდებლად, თითოეული საკუთარი არსება აქვს.

საზოგადოების გართულება ბუნებრივის აუცილებ-
ლობით იწვევს საზოგადოებათა და მაშასადამე ადამი-
ანთა განვითარებას. მართალია ერთი საზოგადოება, რო-
მელიც ერთ ადგილზე მოთავსებულა, უკვე თავიდანვე
შორდება მეორე საზოგადოებას, რომელიც სხვა მიწა-
წყალზე ცხოვრობს და სხვა ბუნებრივ თვისებებს ემორ-
ჩილება. მაგრამ ეს განსხვავება პირველად არ არის დიდი,
რადგან მეტად სადაა და უშინაარსო ველური ადამიანის
არსებობა. განსხვავება იზრდება და ღრმავდება საზოგა-
დოებრივ განვითარებასთან ერთად. ყოველი ცვლილება
საზოგადოებაში იწვევს მრავალს ცვლილებას და თითო-
ეული მათგანი კიდევ ახალ-ახალს ცვლილებებს და ამის
შემწეობით ყოველს საზოგადოებრივ ერთეულში მკვიდრ-
დება სრულიად განსხვავებული განწყობილება, წესი,
ადათი. საკმარისია ოდნავად გადავავლოთ თვალი თემე-
ბის და ტომების თუნდაც ახლობლების და ნათესავების
მატერიალური კულტურის საგნებს—იარაღებს, სამკაუ-
ლებს, ჭურჭლებს, ავეჯეულობას, რომ აშკარად შეამჩ-
ნიოთ, თუ როგორ განსხვავდება ერთი-მეორისაგან გა-
რეგნულის სახით, მოყვანილობით, მოკაზმულობით. ავი-
ღოთ სახლი, თავშესაფარი ბინა—ვერ ნახავთ, რომ ერთი
ტომის სახლი იყო განმეორება მეორე ტომის სახლისა.
ხშირია განსხვავება არა მარტო წვრილმანების, არამედ
არსებითაც. ყოველ იარაღს ადამიანი აკეთებს განსაზღვ-
რული საჭიროებისთვის და ეს საჭიროება საერთოა მთელი
კაცობრიობისთვის, მაგალითად თოხის დანიშნულება
ისაა, რომ მიწა მოთოხნოს კარგად, ხმლისა—რომ მტერი
დაამარცხოს, მაგრამ ყოველი საზოგადოება თავისებურად
აკეთებს ერთსაც და მეორესაც; განსაკუთრებით ეს თავი-
სებურობა ემჩნევა მორთულობას, ხელოვნურ მხარეს,
სადაც თავისუფლად იშლება ადამიანის თავისუფალი
ბუნება და შემოქმედება. დიდი ხანია აგვიწერეს სოციო-

ლოგებმა, რომ როგორც კი ველურთა ერთი თემი ნაწილდება და ერთი ნაწილი მეორეს შორდება, სულ რამდენიმე თვის შემდეგ სხვა და სხვა ენაზე იწყებენ ლაპარაკს, სხვა და სხვა ღმერთებს და კერპებს იჩენენ. ესევე ემჩნევა მხატვრობას, სიმღერას, ხუროთმოძღვრებას და სხვას. ერთი სიტყვით ყოველი საზოგადოება ვითარდება საკუთარის გზით, საკუთარის საშუალებით იკმაყოფილებს თავის საჭიროებას, საკუთარის წესითა და ჩვეულებით სცხოვრობს და ეს განსაკუთრება და თავისებურება მით უფრო დიდია, რაც უფრო განვითარებულია და რთული საზოგადოებრივი ერთეული.

მეორეს მხრით ისიც უეჭველია, რომ საზოგადოების გავლენა ადამიანზე გაცილებით ძლიერია მაღალ საფეხურზე, ვიდრე განუვითარებელ მარტივ მდგომარეობაში. პირველნდელ საზოგადოებას არც აქვს რამე და არც ადამიანი მოითხოვს მისგან ბევრს, ასე რომ დამოკიდებულება მეტად სუსტია. მაგრამ როგორც კი განვითარდება ადამიანი და საზოგადოება მოიპოვებს საშუალებას მრავალმხრივი მოთხოვნილებისათვის, ეს დამოკიდებულობა ფართოვდება, ღრმავდება. პირველყოფილი ადამიანი სულ ადვილად სტოვებს საზოგადოებას, რომელიც უფრო ჯოგს მოგვაგონებს, ვიდრე მჭიდროდ შეკავშირებულს ერთეულს, ადვილადვე შეუძლიან შეეთვისონ სხვა საზოგადოებას. მისთვის არ არსებობს ჯერ ღალატი, გაცემა თავის თემისა. სულ მოკლე დროში დაივიწყებს იმ რამდენსამე მარტივ სიტყვას, რომელსაც შეიცავს მისი დედა-ენა და სწავლობს სხვის ენას, რომელიც ასევე ღარიბია და სადა. ნათესავობას ნაკლებად ჰგრძნობს და არავითარ მიზიდულობას არ განიცდის საკუთარ შვილისა და მშობლისადმი. მაგრამ აუტანელია განცდა უფრო განვითარებული ადამიანისა, როცა რაიმე მიზეზით შორდება თავის თემს ან ტომს. მზადაა ყოველი

მსხვერპლისთვის, ოღონდ დაუბრუნდეს თავისიანებს, რომლებზედაც გადაბმულია ათას მოგონებით, ფიქრით, გრძნობით; დაუბრუნდეს იმ კერას, სადაც შენახულია კერპი მისი მფარველი ღმერთისა, სადაც განისვენებენ წინაპართა სულები, სადაც ლაპარაკობენ ერთად-ერთ გასაგებ ენაზე. ასეთი ადამიანი საზოგადოებით ცხოვრობს და მხოლოდ საზოგადოებისთვის და თუ ოდნავადაც არის დაარღვია, შელახა თემის ადათი და ჩვეულება,— საუკუნო სირცხვილი, დამცირება, შეუბრალებელი განკითხვა და სასჯელი მოელის.

კიდევ ერთხელ განვიმეორებთ: ადამიანი ისაა, რაც არის საზოგადოება, საზოგადოების გრძნობით გრძნობს, საზოგადოების ფიქრით ფიქრობს. მთელი მისი სულიერი სიმდიდრე არის სიმდიდრე საზოგადოებისა და მის სახეზე აღბეჭდილია მთელი თავგადასავალი თემისა თუ ტომისა. აქედან თავის თავად უნდა დავასკვნათ: არ არიან ადამიანები, არიან მხოლოდ ამა თუ იმ საზოგადოების წევრები, ამა თუ იმ თემის ან ტომის შვილები, რომლებიც ისე განსხვავდებიან ერთმანეთში, როგორც თემები და ტომები. ისტორიულ პროცესში ადამიანის მოდგმა ნაწილდება სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფად და თითოეული მათგანი ვითარდება დამოუკიდებელის, განსხვავებულის გზით. ეს განსხვავება თან და თან ღრმავდება და მაშასადამე ღრმავდება ის განსხვავება გარეგნული და სულიერი, რომელიც არსებობს თემების და ტომების წევრთა შორის. არავის შეუძლია სთქვას, რომ ცივილიზაცია სპობს განსხვავებულობას. მართალია, მიმოსვლის გაადვილება და განვითარება მეტად აახლოვებს საზოგადოებათ და ადამიანებს და ეს ხელს უწყობს კულტურის გადატან-გადმოტანას, მაგრამ ამასთანავე ცივილიზაცია, ადამიანის შემოქმედების გაფართოვება კიდევ უფრო აღრმავებს თავისებურობას,

განსაკუთრებით სულიერ სფეროში, სადაც თავისუფალი სარბიელია გაშლილი ადამიანის გონებისათვის. კაცობრიობის დაწინაურების უდიდესი დამახასიათებელი თვისებაა თავისუფლების ზრდა და თავისუფალ საზოგადოებაში თავისუფალი ადამიანი განსაკუთრებულის სიძლიერით ააშკარავებს მთელს თავის საგანძურს, ანაყოფიერებს სავსებით იმ ნიჭს, რომელიც შთანერგა მის არსებაში მშობელმა საზოგადოებამ საუკუნეთა განმავლობაში.

ყველაფერს ამას დიდი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რის შესახებ ქვემოთ მოვილაპარაკებთ....

III

აქამდის ჩვენ ვლაპარაკობდით უფრო ისეთ საზოგადოებრივ ერთეულების შესახებ, რომელთაც ეწოდება თემი, ტომი. მაგრამ რა არის ერი, ეროვნება? ცხადია, იგი ისეთივე კოლექტივია, როგორც თემი ან ტომი, მხოლოდ უფრო განვითარებული, უფრო გაღრმავებული, უფრო შეგნებული. ეროვნება კულტურული მოვლენაა, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელი აზრია, ვითომც ერი, ეროვნული შეგნება წარმოშვა ახალმა დრომ, მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნემ. ერში ვხედავთ იმ თავისებურობას, რომელიც გამოწვეულია ადამიანის მოდგმის დანაწილებით, ცალკე საზოგადოებრივ ერთეულებად დაყოფით. თემი და ტომი ის კერაა, რომელმაც წარმოშვა და აღზარდა ეროვნებ და რომ არ ყოფილიყო თემობრივ ტომობრივი განსხვავება, არ იქნებოდა ეროვნული სხვა და სხვაობაც. ერი გაჩნდა თემისა და ტო-

მისაგან ან მათი შერევისა და შედულებისაგან,—მაგალითად, ჩვენი ერი შესდგა აბასხების, კოლხების, მესხების, იმერების, ქართულების და სხვა თემებისაგან;—მაგრამ არსებითად ბუნება ერისა იგივეა, რაც თემისა და ტომისა. ერშიც იგივე თვისებაა, მხოლოდ უფრო გაღრმავებული და გაფართოვებული. თემში შედარებით სუსტია თავისებურება, ამიტომაცაა, რომ თემების შეერთებისაგან ჩნდება ერი. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რომ რამდენიმე ერი შედულებულიყოს ერთ ერად. შვეიცარელები არ წარმოადგენენ ერთს ერს,—აქაა მხოლოდ მჭიდრო კავშირი სამი სხვა და სხვა ეროვნების წევრთა. არც შეერთებული შტატების ამერიკელები წარმოადგენენ ცალკე ერს. მართალია მათ ბევრი რამ განათვისებს ინგლისელებისაგან, მაგრამ არა იმდენად, რომ ცალკე თავისებურს ეროვნულს არსებას შეადგენდნენ. ყოველი თემი პოტენციალურად ერია უკვე, ხოლო რომ თემი ერად იქცეს ნამდვილად, ამისთვის საჭიროა, რომ თემის ცხოვრებამ მიიღოს ისტორიული ხასიათი, თემი ეზიაროს ცივილიზაციას, კულტურის საშუალებით, უნდა მოხდეს თემის თვისებათა განმტკიცება ერის და თემის დამოკიდებულობა შეგვიძლია შევადაროთ ბიოლოგიურს გვარსა და გვარსხვავობას, ჯიშს და ნახევარ ჯიშს. ერთი მეორეში გადადის, ერთი მეორეს უახლოვდება, მაგრამ ერთი გვარის ცხოველები ან მცენარენი უფრო მეტის გამოკვეთილის და ნათელის თვისებით განირჩევიან, ვიდრე გვარსხვავობის მცენარეები და ცხოველები. როდესაც გვარსხვავობა ვითარდება და მტკიცდება მისი განსხვავებულობა, იგი ადრე თუ გვიან გადაიქცევა გვარად.

თემი ან თემთა კავშირი რომ განვითარდება და მიაღწევს განსაზღვრულს მოქალაქეობას, იგი უკვე ერია. ამ გარდაქმნაში უდიდეს როლს თამაშობს ისტორიული

არსებობა, კულტურული ზრდა საზოგადოთ და მწერლობის აღორძინება კერძოთ. ერთი **ისტორიული თავგადასავალი**, ერთი ისტორიული შემოქმედება—ის ცეცხლია, რომელმაც უნდა გადაადუღოს ერთ მიწაზე მცხოვრები თემი თუ თემები და გარდააქციოს ერად. გაურკვეველი თემები, მომთაბარენი, უკულტურო მასა, თუნდაც ერთ ენაზე ლაპარაკობდეს, თუნდაც საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდეს, ჯერ კიდევ როდია ერი, თუ არ ჰქონია საერთო ისტორია, ისტორია ბრძოლისა და მოქალაქეობისა, ისტორია უფლებისა და მოვალეობისა, ისტორია ერთი კულტურისა, ისტორია ერთის სიხარულისა და უფრო კი ერთის მწუხარებისა, ტანჯვისა და ვაებისა. ისე არა აერთებს-რა ადამიანებს, როგორც საერთო ბრძოლა, საერთოდ ცრემლების დაღვრა, საერთო ხარები და ჭრილობანი იმისთვის, ვინც ჩვენთვის სატრფიალია, საყვარელია, და მოგონება განვლილი მწარე დღეებისა. დედას ის შვილი უფრო უყვარს, რომლისთვის მეტი სიმწარე გამოუვლია. სამშობლო მით უფრო ძვირფასია, რაც უფრო მეტად გვიღირდა მისი კულტურის შექმნა, მისი თავისებურობის შენარჩუნება, მისი თავისუფლების დაცვა.

დედა-ენა მშობელი, ქვეყნის ბუნება მუდამ ჩვენთან არის, ჩვენს სისხლშია, დაბადებიდანვე და უფრო ადრეცთან და თან ვითვისებთ მათ გავლენას, მათ შემოქმედებითს თვისებას. სამშობლოს მთის მწვერვალიდან გადმოტყორცნილი სხივი და გარემოს სიმშვენიერე აკვანში ჩამოგვანათებს ხოლმე, მშობლიურ ენას დედის ნანასთან ვისისხლხორცებთ. მაგრამ მშობელი ერის და მამულის თავგადასავალი—ეს ჩვენი შეგნებაა, ჩვენი გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, ჩვენი გაადამიანება, ჩვენი გამამულიშვილება. ჩვენი ქვეყნის ისტორია—ის ჩვენი საკუთარი თავგადასავალია, ეს იმ ქვეყნის და კულტურის

წარსულია, რომელთაც შეგვქმნეს—ჩვენის ენით, ზნეჩვეულებით, ხასიათით, ღირსებით, მისწრაფებით. ეს არის ისტორია იმ გმირებისა, რომელთაც დაიცვეს ჩვენი სამშობლო და თვით ჩვენი ფიზიკური არსებობა უცხოთა განადგურებისა და დაპყრობისაგან, რომელთაც იღვაწეს ჩვენი კულტურის შექმნისათვის, რომელთაც იბრძოლეს ჩვენი ერის განვითარებისათვის. და ამ ისტორიას ვხედავთ, ვგრძნობთ და ვითვისებთ ჩვენის გონების თვალით და მით ვხდებით მშობელი ქვეყნის შვილები, სავსებით ვეზიარებით მის ცხოვრებას.

ხოლო ისტორია უხილავია, ვიდრე ფრთა არ გაუშლია ერის ნიჭს და არ აღუმართავს თავის შემოქმედების ტაძრები, ვიდრე ხილულად არ გამოუქანდაკებია და ქვასა და ტილოზე არ აღუბეჭდავს თავისი მხატვრული მისწრაფებანი, ვიდრე მუსიკის ჰარმონიული ხმებში არ ჩაუკვეთია თავის მთლიანი ცხოვრების განცდანი, ვიდრე არ **დაუწერია ისტორია შვილების წასაკითხავად**—მოსაგონებლად განვლილთა დღეთა და წინასწარ შემეცნებად მომავლის ბედისა. ისტორია არ არსებობს, ვიდრე არ ვხედავთ მას არა მხოლოდ შინაგანი სულიერის თვისებით, რომელიც ძნელად შესაცნობელია, არამედ ჩვენს თვალწინაა გადაშლილი მთელი ნაყოფი ჩვენი ერის წარსულისა კულტურის ნაშთებით, მხატვრულის შემოქმედებით, განსაკუთრებით **მწერლობის** შემწეობით და ყველაფერს შეგვიძლია ხელი შევახოთ დღეს, დაუკვირდეთ, წავიკითხოთ, დავისწავლოთ და შეგნებულად შევითვისოთ.

აქაა უდიდესი მნიშვნელობა **მწერლობისა**, რომელიც ყველასათვის მისაწვდომი სარკეა, რომელშიაც ერი ხედავს თავის სახეს; რომლის საშუალებით იცნობს თავის ვინაობას და მით კიდევ უფრო განიმტკიცებს თავისებურობას. მწერლობა არსებითად ეროვნულია, ეროვ-

ნულია მიტომ, რომ გამოხატავს ერის სულსა და გულს, მიტომ რომ მისი სიცოცხლე ერის სიცოცხლეა. ევროპის საშუალო საუკუნოების მწერლობის აყვავება დაიწყო იმ დღიდან, როცა საერთო „საკაცობრიო“ ლათინურ ენის მწერლობას გამოეყო ეროვნული მწერლობანი, ყოველმა ერმა საკუთარი მწერლობა გაიჩინა; ამ დღიდანვე იწყეს დამოუკიდებელი არსებობა ამ ერებმა, შეჰქმნეს საკუთარი კულტურული წრეები. იტალიის ერი შექმნა დანტეს „ღვთაებრივმა კომედიამ“. ქართველი ერის შეგნებისათვის აუცილებელი პირობა იყი მთაწმინდელების, ეფრემ მცირის, პეტრიწის და სხვების სამწერლო მოღვაწეობა X—XI საუკუნოებში. ჩვენი ეროვნების უმთავრეს სიმტკიცეს „ვეფხის ტყაოსანი“ წარმოადგენს. საქართველოს აღორძინება მე-18 საუკუნის მწერლობის აღორძინებით იწყება. მე-19 საუკ. საყოველთაო მონობის დროს ქართველი ერის ერთა დერთი თავშესაფარი მწერლობა იყო...

მაგრამ საერთო მიწაწყალი, საერთო ენა, საერთო ისტორია, საერთო მწერლობა ჯერ კიდევ არა ჰქმნის ეროვნებას, არ წარმოშობს ერს. საჭიროა ეროვნული შეგნება, რომელიც დამაგვირგვინებელია ეროვნული თავისებურობის. ერი იქ არის, ერი მტკიცე, ძლიერი შემომქმედი, სადაც ერის შვილები გამსჭვალულნი არიან იმის ღრმა შეგნებით, რომ განსხვავებულს ერთეულს წარმოადგენენ, თავისებურს საზოგადოებას, რომელსაც უნდა ერთად ცხოვრება, დამოუკიდებელი არსებობა, რომელსაც თავისი ბუნება აქვს, ენა, ხასიათი, ჩვეულება, კულტურა, და უნდა ეს თავისებური სახე დაიცვას და შეინარჩუნოს. უნდა შედუღდეს სიყვარული, შეგნება და სიამაყე—უნდა ვამაყობდეთ, რომ ჩვენს ერს ვეკუთვნით და რამდენად ძლიერია ასეთი შეგნება, იმდენად სრულია და ძლიერი ეროვნება, იმდენად უფრო შემომ-

ქმედია ერი. ენგელსი ამბობდა: „ჩვენ ვამაყობთ, რომ ჩვენი მამათმთავრები არიან არა მარტინუენი და სენსიმონი, არამედ კანტი და ჰეგელიც“. ყოველს ერს აქვს ასეთი სიამაყე, თუ ცოცხალი ერია, სიამაყე კეთილშობილური, ყოველს ერს სწყურია, იყოს პირველი თავის მაღალი აზრებით, კეთილის საქმეებით.

სამარცხვინო არაა ამგვარი ეროვნული თავმოყვარეობა!..

როგორც ვხედავთ, ეროვნებაში მეტი სულიერობაა, მეტი შეგნება, მეტი სიმტკიცე და თავისებურობა, მაგრამ ბუნება მისი არსებითად არ განსხვავდება თემისგან. საზოგადოება—არც თემი და არც ერი—თავიდანვე არ არსებობდა. თემი და განსაკუთრებით ერი ისტორიულ კულტურული მოვლენაა, იგი წარმოშობილია განსაზღვრულ ტერიტორიაზე კულტურულ ისტორიულ პირობებით. მაგრამ თავის პროცესში ეროვნება გარდაიქცევა ბუნებრივ ფიზიოლოგიურ მოვლენად. ფიზიკური და სულიერი ცხოვრების გართულების და მემკვიდრეობის კანონები ადრე თუ გვიან განსაზღვრულ ეროვნულ ატმოსფერაში გამოიწვევენ თავისებურ წესებს გრძნობისა და ფიქრისას. რაღაირი მოღვაწეობაა უფრო გავრცელებული—ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, ომიანობა თუ სხვა,—ამის მიხედვით იცვლება ერის ფსიქიკა, რომელსაც აუცილებლად უნდა შეეგუოს და შეეთვისოს საზოგადოების წევრთა მთელი აგებულობა. ადამიანის ორგანოები უთუოდ უნდა შეეგუოს იმ ფუნქციებს, რომლებსათვისაც მოწოდებულია; ამიტომ ამა თუ იმ ერის ფსიქო-ფიზიკური ორგანიზაცია ბუნებრივად უნდა განსხვავდეს სხვა ერის ორგანიზმისაგან მემკვიდრეობა უეჭველია განამტკიცებს ამ განსხვავებას და ისტორიულ-კულტურულ მოვლენას გარდაქმნის ფიზიოლოგიურ მოვლენად, რომელიც უკვე ვითარდება

საკუთარის ბიოლოგიურის კანონების მიხედვით. ამგვარად შემუშავდება ეროვნული ტიპი, რომელიც გამოიხატება არა მხოლოდ შემოქმედების, აზროვნების განსაკუთრებულ ფორმებში, არამედ თავისებურია თავის გარეგნულის, ფიზიკურის სახითაც. მაგალითად, ვიდრე ქართველის სიტყვას გავიგონებდებთ, მისი გარეგნული გამომეტყველება, მისი სხეულის მოყვანილობა, მისი სახის იერი უკვე გვეუბნება, რომ იგი ქართველია. საქართველოს ბუნება, ქართველი ერის მთელი თავგადასავალი აღბეჭდილია ქართველი კაცის გარეგნულობაზე და არა მარტო მის სულიერ არსებაშია დაცული. ყოველი მოვლენა ჩვენის მიწაწყლისა, ყოველი ბრძოლა და ვაება, რომელსაც გარდაუვლია ჩვენი ხალხის თავზე, ყოველი აღტყინება, სიხარული და გამარჯვება, რომელიც განუცდია, ყოველგვარი შემოქმედება, სულიერი ძალა, რომელიც კი გამოუჩენია ქართველ ერს,—გადმოცემულია ყოველ ჩვენთაგანზე, გამოსახულია ჩვენი სახის ძარღვებში, ბრწყინავს და ელვარებს ჩვენი თვალების შუქში, გაისმის ჩვენს ხმაში, ჩვენი სიტყვის გამოთქმაში. ჩვენი ეროვნული მეობა შეგვაქვს არა მარტო შემეცნების გრძნობის, აზროვნების წესებსა და ფორმებში, არამედ კაცობრიობის ოჯახში განსაკუთრებული ადგილი ვვიკავია მით, რომ თავისებური ქართული ტანადობა და სახე გვაქვს...

ეხლა მივიხედოთ ცოტა უკან და დაუბრუნდეთ საკითხს, რომელიც მთელის სიდიადით წარმოსდგა ჩვენს წინაშე თემის წარმოშობის განხილვის დროს და რომელსაც კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნებისათვის. გავიხსენოთ ჩვენი მთავარი დასკვნა: არსებობს ორნაირი წრე-ბუნება, დედამიწა თავის თვისებებით და საზოგადოება. ადამიანი იზრდება და ვითარდება ამ ორ წრე-

ში, იგი მცენარეა დედამიწის, იკვებება მისი ძალებით, იცვლება ნოვლენების მიხედვით, განიცდის მის ყოველდღიურ გავლენას, მეორეს მხრით იგი ცხოვრობს განსაზღვრულს საზოგადოებრივ ერთეულში, ითვისებს მისგან ენას, ცოდნას, ყოველნაირ კულტურას, ხდება ადამიანი, გონიერი არსება. ამ წრეთა გავლენა ადამიანშია უკვე მის დაბადებამდე; მის სხეულს და სულს მემკვიდრეობით წინაპართაგან აქვს შესისხლხორცებული მათი მოქმედება. ბუნების გავლენა უფრო პირდაპირია, უფრო ძლიერი ისტორიის დასაწყისში და მერე შედარებით სუსტდება, მაგრამ არასოდეს არ ჰკარგავს ძალას. საზოგადოების მოქმედება უფრო არა პირდაპირია და ცხოვრების განვითარებასთან უფრო და უფრო ძლიერდება. ბუნება პირვანდელი ფაქტორია, საზოგადოება, საზოგადოებრივი წრე შემდეგ წარმოშობილია ბუნების წიაღში და თუმცა არასოდეს შორდება დედამიწის ნიადაგს, მაინც მერმენდელ პროცესში ასე თუ ისე დამოუკიდებელი გზით ვითარდება. ადამიანი შეჰქმნა ამ ორმა ფაქტორმა და მოიყვანა დღევანდელი მდგომარეობამდის და მიუძღვება ყოველს მის მოქმედებას. ადამიანი ისაა, რასაც წარმოადგენს ბუნება —სამშობლო და საზოგადოება—ერი. ადამიანში არის მხოლოდ ის, რაც განუცდია და წარმოუშვია ან ერთს ან მეორეს განცალკევებულად ან ურთიერთის გავლენით, ორივეს ჰარმონიულად შეზავებულის მოქმედებით. ადამიანი გაგრძელებაა მშობელი ქვეყნის ფიზიკური სიცოცხლისა—მის სხეულში გვესმის გარშემო მცენარეთა ფოთლების შრიალი, მისი სისხლის მოძრაობაში ვხედავთ მკვდარი ნივთიერების განყოფიერებას მზის ენერგიით, მის ნაკვთებში მოსჩანს უსულო საგნის გაცხოველება და გასულიერება მშობლიური ჰავის მეოხებით.

რაკი ასეთი განუკვეთელობა არსებობს ადამიანსა და მშობელ ქვეყანასა და ერს შორის, შეუძლებელია,

წარმოვიდგინოთ ადამიანის არსებობა და განვითარება გარეშე სამშობლოსა და ეროვნულ საზოგადოებისა. ადამიანი მოწყვეტილი თავის სამშობლოს და ერს, ჰგავს იმ მცენარეს, რომელიც მოსწყვიტეს თავის ბუნებრივ ნიადაგს და გადანერგეს უცხო მხარეს, და რომელსაც მოელის ან სრული დაჭკნობა და გახმობა, ან გადაგვარება და დაბეჩავება. ყველამ კარგად ვიცით, თუ რა ემართება მთის ყვავილს, როცა ბარში გადმოვიტანთ ან ბარის მცენარეს, როცა მთაზე გადავთესავთ. ვიცით, როგორი გავლენა აქვს თბილს, ცივს ან ზომიერ ჰავას ამა თუ იმ თესლის აღმოცენებაზე. მაგრამ იშვიათად თუ დაუკვირდებით იმას, თუ როგორ მახინჯდება ადამიანი ერთის ადგილისა და საზოგადოების უცხო წრეში, რომელსაც იგი ვერ ეთვისება.

ადამიანში, რომ იბადება, პოტენციალურად დაცულია მრავალი ნიჭი, შემოქმედებითი ძალა, რომელიც მაშინ გაიშლება და განვითარდება მხოლოდ, თუ გარშემო არსებულმა ბუნებრივმა და საზოგადოებრივმა წრემ აამოძრავა ეს ძალები, ისე როგორც მცენარის თესლი განაყოფიერდება მხოლოდ მაშინ, თუ შესაფერ ნიადაგზე დავარდა და არ მოაკლდა სათანადო სითბო და წყალი. ადამიანის ძალების განაყოფიერება ძალუძთ მარტო მშობლიურ ბუნებას და საზოგადოებას, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში თვით ჩასახეს ადამიანში ეს ძალები. ადამიანის არსება ერთგვარი ჯადოსნური სიმებია, რომელთაზედ დაკვრა შეუძლია მხოლოდ მშობელ ერს, რომელნიც ხმებს გამოგვცემენ მხოლოდ მაშინ, როცა მას ხელს შეახებენ თავისიანები. რამდენი მაღალი ნიჭის ადამიანი ყოფილა, რომ ვერა გაუკეთებია-რა და უსარგებლოთ დაღუპულა იმიტომ, რომ ვერ მოექცა შესაფერ პირობებში. ასეთია საზოგადოთ ყოველი ადამიანის ცხოვრება. ისე შედუღებულია მისი არსება სამშობლოს

ბუნებისა და ერის თვისებებზე, ზნე-ჩვეულებაზე, ენაზე, კულტურაზე, რომ მისი ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა საკუთარ ნიადაგზე, საკუთარ წრეში ყოფნა. ამ კანონს ემორჩილება ყოველი მიწის შვილი, რაც უნდა გენიოსი იყოს. სისრულე ცხოვრებისა არ არსებობს გარეშე იმ ბუნებრივ და საზოგადოებრივ წრისა, რომელშიაც ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენი ძველები და ძველისძველები, რომელსაც შეგუებია და შეთვისებია ჩვენი სხეული, ჩვენი გონება, ჩვენი გრძნობა და ფიქრი.

ამიტომ ცხადია: თუ გვინდა, რომ ადამიანის არსებობა იყოს რაც შეიძლება სრული, მისმა ნიჭმა რაც შეიძლება ფართოდ გაშალოს ფრთები, მის დაწინაურებას არა აბრკოლებდეს-რა და თავისუფალი ასპარეზი მიეცეს კულტურას,—ადამიანი უნდა უთუოდ დავუბრუნოთ ბუნებას, ავყაროთ ბორკილები ერს და დავუბრუნოთ იგი სამშობლოს. ეს ვიწრო პოლიტიკური საკითხი არაა. როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ეს დიადი ბოლოგიური, კოსმიური პრობლემაა. უამისოდ შეზღუდული იქნება მუდამ ცხოვრების ზრდა საზოგადოთ, უამისოდ ვერასოდეს გაიშლება კულტურული შემოქმედება, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია მსოფლიოს უდიდეს მიზნების განხორციელება.

საღმა პედაგოგიამ უკვე მიაგნო ჭეშმარიტს კვალს და ბუნებასთან დაახლოვება მიიჩნია საუკეთესო საშვალებად აღზრდისათვის. ყაზარმულ კედლებში, დახშულ ქუჩებს შორის, სადაც ხშირად ბავშვი ცასაც კი ვერ ხედავს, მოკლებულია მზის გამაცხოველებელ სხივებს, მოზარდ თაობის გონება მძიმედ ვითარდება. ამიტომ ახალს სკოლებს აარსებენ ისეთ ალაგას, საცა მოწაფეთვის მისაწვდომია ყოველი მოვლენა ბუნებისა, რომ მრავალფეროვნის გავლენით ამოძრავდეს ყოველი კუ

ჭული ბავშის არსებისა. განვითარება ფაქტების გაზეპირება როდია და ისე არაფერი გვასწავლის ცხოვრებას, როგორც პირდაპირი შეხება, პირდაპირი განცდა. ვერავითარი გენიოსურად დაწერილი წიგნი ფიზიკისა, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველებისა ვერ გვასწავლის იმდენს, რამდენსაც შევიძენთ რამდენიმე დღის საკუთარის დაკვირვებით, რადგან ამ შემთხვევაში მარტო ჩვენი მშრალი გონება კი არ მუშაობს, არამედ საგანს შევიცნობთ ხშირად უფრო ძლიერ, ჩვენის შეუგნებელის ბუნებით, ჩვენის სხეულით. როდესაც ვაკვირდებით მშობელი ქვეყნის სურათებს, მოხიბლული ვდგევართ მოდუდუნე მტკვრის ან ბრძოლის წყურვილით დამთვრალის თერგის ნაპირას, როდესაც მთის მწვერვალიდგან გადმოვცქერით სულგანაბული მშობლიურ ველებს,—ჩვენი სიამოვნება, აღტაცება მარტო სურათის აგრე ვთქვათ ობიექტიურის სიმშვენიერით კი არაა გამოწვეული. ჩვენს პირად გრძნობას აქ აძლიერებს ის, რომ მსგავსი ეყო განცდანი ჩვენი წინაპრებისა ამავე სურათების ჭვრეტის დროს. როდესაც ჩვენს წინ აღმართულია წარმტაცი, დიდის ხელოვნების ტაძარი, ჩვენს საკუთარს ესთეტიურ განცდას უერთდება იმ ქართველი შემოქმედის განცდა, რომელმაც ააგო ეს ტაძარი, და იმ წინაპრების ტკბილი გრძნობა, რომელნიც ჩვენსავით სტკბებოდნენ ტაძრის სილამაზით. ნაზია და იდუმალი, ამაყი და გმირული ქართული სიმღერა და მუსიკა, ყველას ყურს აამებს მისი გაგონება, მაგრამ ვერავინ ისიამოვნებს მით ისე, როგორც ქართველი, რადგან მასთან ერთად მის არსებაში, მის სისხლსა და ხორცში სიამოვნობენ მისი წინაპრები. მთელი ატმოსფერა სამშობლოსა გაჟღენთილია იმათ სულებით, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ წინად, განიცდიდნენ სამშობლოს ბუნების ყოველ მოვლენას, ეღვწოდნენ მის საკეთილდღეოდ, ჰქმნიდნენ მის კულტურას.

მკვდრები მიწაში კი არ განისვენებენ, ზევით არიან ჰაერში და ჰაერთან ერთად შევისუნთქავთ ხოლმე მათ სულსაც.

სამწუხაროდ ძლიერ ნაკლებადაა შეგნებული ამის მნიშვნელობა და ისეთ დროში ვცხოვრობთ, როდესაც უფრო იმას სცდილობენ, რომ როგორმე შებორკონ და გადაამახინჯონ ადამიანის არსება, ვიდრე ნება მისცენ თავისუფალ განვითარების. არა თუ უნდათ ადამიანი მოსწყვიტონ თავის ერს, ჩაჭკლონ ეროვნული არსებობა, თვით ბუნებასაც კი დაადებდნენ ხუნდებს, არ მიაკარებდნენ ადამიანს, რომ ეს შესაძლებელი იყოს. ვერ წარმოუდგენიათ ადამიანი ლაღი თავისუფალი, ბუნებრივად დაბადებული და აღზრდილი. სწადიათ, მისი მოტეხა, მოქნა, მოხრა, განყენებულის მოსაზრების მიხედვით შემუშავებულ კალაპოტში მომწყვდევა. ასე იქცევიან არა მარტო სარწმუნოებრივი ფანატიკოსები, „ძალად მაცხონე"-ები, არა მხოლოდ სხვა და სხვა ჯურის პოლიტიკური რეაქციონერები და მოძალადენი, საუბედუროდ ამ გზას ადგიან ბევრნი ისეთნიც, რომელთა დროშაზე ადამიანის თავისუფლებაა წარწერილი. დიდი ბრძოლაა საჭირო, რომ ეროვნულმა თავისუფლებამ, რომელიც ცხოვრების ერთი უდიდესი საკითხიაგანია, საბოლოოდ გაიკაფოს გზა. ყოვლის უწინარეს ბრძოლაა საჭირო იმისათვის, რომ გაიფანტოს ბურუსი და გაუგებრობა, რომელიც გარს ახვევია ეროვნებას და ეროვნულ თავისუფლებას. ეროვნება უძლიერესი ფაქტორი განვითარებისა და მისი უზრუნველყოფა და თავისუფალი არსებობა დედა საგანი უნდა იყოს ყოველი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა. ადამიანის სრულყოფისათვის ერთად ერთი გზა ეროვნებაა, ადამიანის განვითარება გადაჭრით მოითხოვს ეროვნულ ატმოსფერას, მუდუმივ ჰარმონიულ შეთანხმებას მასთან. ერი ჰაერია ადამიანის სხვ

ულისა, ადამიანის ნერვებისა, ტვინისათვის და ყოველი ძალადე, რომელიც ჰხუთავს და ახშობს ეროვნებას, ეროვნულ საზოგადოებას, კაცის მკვლელია—არა ერთის, არამედ ათასების და მილიონების. ყოველი, ვინც არ ცდილობს ერის თავისუფლებას, მოსისხლე მტერია ნებით თუ უნებლიეთ კაცობრიობის დაწინაურებისა. ადამიანის ჩონჩხებია და არა ცოცხალი სული იქ, სადაც ეროვნული მონობაა დამკვიდრებული!..

არავითარი შეზღუდვა, არავითარი ძალადობა ეროვნული კოლექტივის წინააღმდეგ, თუ გვინდა ადამიანის ბედნიერება, თუ გვინდა, რომ ადამიანის არსება მიწვდეს ღვთაებრივობას, თავის ბუნებაში, შეაერთოს ყოველი დიადი მიწიური და ზეციური და განახორციელოს საოცნებო მისწრაფებანი. ადამიანი უნდა იზრდებოდეს მშობელი ბუნების წიაღში, უნდა ვითარდებოდეს მშობლიური ერის საზოგადოებაში, არავითარი ზღუდე არ უნდა აშორებდეს მას არც ერთს, არც მეორეს. ადამიანი უნდა ეკუთვნოდეს სამშობლოს, სამშობლო უნდა ეკუთვნოდეს ერს. სამშობლოს გამგე და პატრონი უნდა იყვეს ერი, ადამიანის მწვრთნელი და წინამძღოლი უნდა იყოს ერი. სამშობლო და ეროვნება შედუღებულია, ასე შედუღებული უნდა იყოს ორზევე ადამიანი. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ერი თავისუფალია, არავითარი დაბრკოლება არ გამრუდავს მის განვითარების გზას, თავისუფლად, სხვის ძალდაუტანებლად მიიღებს ყოველს ცვლილებას, შეითვისებს, შეიგუებს ყველაფერს, რაც მის არსებას ეთვისება და ესისხლხორცება.

ეს ოდნავად არ ჰგულისხმობს რაიმე კარჩაკეტილობას და ერების სრულს გათიშვას და განცალკევებას. ერს აქვს თავისებური არსება. იგი ვითარდება საკუთარის გზით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერმა არავინ მიიკაროს და არა შეითვისოს, არა იყესხოს

რა უცხოს კულტურის. ეროვნების თავისებურობა და თავისუფლება მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ გადმოლება უცხოელთა ღირსებისა, წესისა, ცოდნისა მოხდეს სრულიად თავისუფლად; იგი უნდა გადაადუღოს ერმა თავის გულში და ისე გაეროვნებული მიაწოდოს თავის შვილებს. არც ერთი დიდი მოვლენა მსოფლიო ისტორიისა არ მიუღია ყველა ერს ერთნაირად. ისეთი უნივერსალური სარწმუნოება, როგორიცაა ქრისტიანობა, თითოეულმა ერმა თავისებურად შეიცნო და შესცვალა. ნამდვილიც არ არის ერთი ქრისტიანობა, იგი იმდენია, რამდენიცაა ქრისტიანი ერი. მაჰმადიანობის ნიადაგზე არაბებმა და სპარსებმა უმაღლესი კულტურა განავითარეს, ხოლო იმავე სარწმუნოებამ ვერაფერი შეჰქმნა ოსმალოთა შორის გარდა ბრმა ფანატიზმისა. ესევე ითქმის ჩვენი დროის უდიდეს მოვლენაზე. დღეს არსადაა ისეთი განათლებული მხარე, რომ სოციალიზმი არ იყოს გავრცელებული. მისი საბოლოო მიზანი, მისი საერთო მისწრაფება ერთნაირია, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება ხდება ეროვნულ საზოგადოებრივ წრეში და ყველგან თავისებურია, ადგილობრივია, ეროვნულია. სოციალიზმის და დემოკრატიზმის შეთვისება ერთნაირი არაა, მაგალითად ჩვენში და რუსეთში და ეს არ აიხსნება მარტო განსხვავებულის ეკონომიურის პირობებით, დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ კულტურულს, ეროვნულს სხვადასხვაობას...

სოციალიზმის ხსენებაზე არ შეგვიძლია არ მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ზოგიერთები ერთი მეორეს უპირისპირებენ სოციალიზმსა და ეროვნებას და ჰფიქრობენ, რომ სოციალიზმმა, რომელიც აგებულია კლასთა წინააღმდეგობასა და ბრძოლაზე, უნდა მოსპოს ერი და ეროვნული ადამიანი და მათ ნაცვლად წარმოშვას უნივერსალური ადამიანი, უსახო ერთფერო-

ვანი კაცობრიობა. მაგრამ ასეთი შეხედულება ისევე უსაფუძვლოა, როგორც ის, რომ ვითომც ეროვნება ახალმა დრომ მოგვივლინა. კლასები, წოდებანი, ეკონომიური სოციალური წინააღმდეგობანი უხსოვარ დროიდან არსებობენ. შეიძლება პირველ ყოფილ ველურებს ჰქონდათ კომუნიზმი, სრული ქონებრივი თანასწორობა. მაგრამ რაკი ცოტაც არის განმტკიცდა საზოგადოება, ყოველთვის იყო წოდებრივობა, ქონებრივი და უფლებრივი განსხვავება და ბრძოლა თუ მტრობა ამ ნიადაგზე აღმოცენებული. ამ ბრძოლას არასოდეს მოუსპია ეროვნება, ეროვნული კოლექტივი. კლასობრივი ურთიერთობა, კლასობრივი ბრძოლა არსებითად ნაწილების დაპირდაპირებაა, უთანხმოება და ასეთი პროცესი მხოლოდ დაშლიდა სხეულს, გააცალკევებდა, თუ არ იყოს სხვა ძალა, რომელიც აწარმოებს მეორე პროცესს—შეკავშირებას და შეერთებას. ეს ძალაა ეროვნება, ეროვნული ნათესაობა, ეროვნული შეგნება, ეროვნული კულტურა. ეს ძალა ჰქმნის იმ წრეს, რომელშიაც მიმდინარეობს კლასების ბრძოლა და რომელსაც ვერასოდეს აღღვევს კლასობრივი წინააღმდეგობა.

რასაკვირველია, კლასობრივი ბრძოლა, კლასობრივი შეგნების განვითარება მეტად ძლიერი იარაღია საზოგადოებრივი დაწინაურებისათვის და ვინც ჰფიქრობს კლასთა წინააღმდეგობის დაჩრდილვას, კლასობრივ ცნობიერების დაჩლუნგებას, ცუდს სამსახურს გაუწევს საზოდოებას. ხოლო შეუძლებელია კლასებით დავფაროთ მთელი ეროვნება, კლასობრივი ცხოვრებით ამოვწუროთ მთელი ეროვნული ცხოვრება. მუშათა კლასის დღევანდელი ბრძოლის საგანია თანამედროვე ეკონომიური წესწყობილების დარღვევა, მოწყობა ისეთი ორგანიზაციისა, რომელიც საუკეთესოდ და სამართლიანად დააკმაყოფილებს ადამიანის ქონებრივ ინტერესებს. მაგრამ ცხოვ-

რების შინაარსი არ განისაზღვრება მარტო ამ ინტერესებით, ცხოვრების მიზანი არაა ქონებრივი საჭიროების დაკმაყოფილება მარტო, არამედ მისი მთავარი საქმეა განვითარება უმაღლეს სულიერ თვისებათა და დაკმაყოფილება სულიერი მისწრაფების — ზნეობრივის, გონებრივის, მხატვრულის. სამართლიანი ეკონომიური სამეფო მხოლოდ საფეხურია იმისთვის, რომ აყვავდეს და განვითარდეს ადამიანის უმაღლესი წადილები. მარქსი ამბობდა: „აუცილებლობას (ე. ი. ქონებრივის, მატერიალური ინტერესების) სამეფოს იქით იწყება განვითარება ადამიანის ძალისა, რომელიც არის თავისთვის მიზანი, ნამდვილი საჭეფო თავისუფლებისა“.

უეჭველია, მხოლოდ მაშინ, როცა დაკმაყოფილებულია ასე თუ ისე ქონებრივი ინტერესი, იბადება უფრო მაღალი მისწრაფება და მოთხოვნილება, მისწრაფება უმაღლესი სიამოვნებისადმი. ეს გონებრივი და ესთეტიური სიმშილი ისე გადაჭრით მოითხოვს დაკმაყოფილებას, როგორც ფიზიკური სიმშილი. ღირებულება ამ მისწრაფებათა უფრო დიდია, მათი სარბიელი გაცილებით ფართოა, მათის შემწეობით ადამიანის ბუნება უფრო მაღლდება და კეთილშობილდება, ადამიანის უძვირფასესი თვისებები ვარჯიშდება და იწრთვნება, სიამოვნება მრავალფეროვანდება და ღრმავდება. ადამიანობა, ნამდვილი ადამიანური ცხოვრება იწყება ქონებრივი ინტერესების გარედ, მატერიალური საჭიროების დაკმაყოფილების შემდეგ, იქ სადაც თავდება „სამეფო აუცილებლობისა“ და იწყება „სამეფო თავისუფლებისა“. სამეფო აუცილებლობისა მხოლოდ კარია შესავალი, გზა, რათა შევიდეთ თავისუფლების სამეფოში, სადაც შეგვიძლია ვიგრძნოთ სრული კმაყოფილება და ბედნიერება, სადაც ჩვენს საუკეთესო თვისებებს შეუძლიათ თავისუფლად გაშალონ ფრთები...

მაშასადამე განვითარების, საზოგადოებრივი პროცესის საგანია არა ეკონომიური კეთილდღეობა თავისთავად, არამედ ამ ეკონომიურის განვითარებით გადასვლა ისეთ ცხოვრებაში, მოპოვება ისეთის მდგომარეობისა, სადაც პირველობა ეკუთვნის არა—მატერიალურს, გონებრივ-მხატვრულ ინტერესებს. ხოლო ამ სამეფოში ყოველთვის წინ წამოიჭრება ეროვნება და ყოველს დარგსა და მოქმედებაში აშკარავდება ეროვნული თავისებურობა, ეროვნული შემოქმედება და ეროვნული განუკვეთელობა. ხელოვნება, მუსიკა, რელიგია, ფილოსოფია განსაკუთრებით აღბეჭდილია ეროვნულის ელფერით. აქ შემოქმედება არაა პირადული, არც კოსმოპოლიტური, არამედ ყოვლის უწინარეს არის ეროვნული. „თავისუფლების სამეფოში“, სადაც იშლება მთელი სულიერი აგებულობა ადამიანისა, შემომქმედად გამოდის ის ერთეული, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ერთად ცხოვრობდა და შეიმუშავა ერთი ენა, ერთი ხასიათი, ერთი სახე და მეტყველება. სიტყვა, ლექსი, სიმღერა, ტაძარი სიმშვენიერისა, რწმენა, ოცნება—ყველაფერი ეს გამოსახავს, რაც განუცდია, უგრძვნია და შეუქნია მთელს ერთეულს, ყველაფერი ნაციონალური გენიის წარმოშობილია.

რაკი ასეა, რაკი უმაღლესი კულტურა შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულის სახით და ეროვნების შემწეობით, მაშინ ცხადია—ეროვნების დაცვა, ეროვნების თავისუფლება, მისი დაუბრკოლებრივი განვითარება სრულებით არაა ისეთი საგანი, რომელსაც შეგვიძლია გვერდი აუქციოთ. გარეშე ეროვნებისა შეუძლებელია განხორციელება რაიმე კულტურისა და რასაკვირველია იმ დიადი კულტურისაც, რომელიც სწადია სოციალისტურ მოძღვრებას და რომელიც მარტო ქონებრივ კეთილდღეობას არ ჰგულისხმობს სრულებით. მაშასადამე სო-

ციალისტის პირდაპირი მოვალეობაა ყოველის ღონით, ყოველის საშუალებით ისეთი არსებობა მოუპოვოს ეროვნულს კოლექტივს, რომელიც სრულიად უზრუნველ-ჰყოფს მის თავისუფალს განვითარებას...

ადამიანი საზრდოს ფიზიკურს და გონებრივ-ზნეობრივს მიიღებს ბუნებისა და საზოგადოებისაგან. მისი სხეული და სულიერი აგებულება ჩამოსხმულია სამშობლოს და ერის თვისებებზე. მისი ნორმალური არსებობა და განვითარება მოითხოვს, რომ იგი განუკვეთელი და განუშორებელი იყოს მშობელი ქვეყნისა და ერისაგან, ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ერი თავისუფალია და ადამიანი თავისუფლად ვითარდება ეროვნულ საზოგადოებაში.

ასეთია ბუნებრივი დასკვნა ცხოვრების არსების განხილვისა. ეს გარდუვალია ყოველი ერისთვის და კანონია, რასაკვირველია ქართველი ერისთვისაც, თუ მის წევრებს ჰსურთ არა თუ კულტურული განვითარება, არამედ უბრალო ფიზიკური არსებობა. საქართველოს თავისუფლებისთვის უნდა ვილაპარაკოთ, როგორც სხვა ყველა კუთხისთვის. იგი აუცილებელია! უნდა იყოს! ამას ცალკე ძიება და გამორკვევა არ ესაჭიროება!

საინტერესოა მხოლოდ გათვალისწინება იმ პრაქტიკულ მოსაზრებათა, რომელიც თან სდევს ჩვენი ერის თავისუფლების განამდვილებას. თავისუფლება ხორციელდება განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში, რომლებიც გვაჩვენებენ გზას პოლიტიკურ მოღვაწეობისათვის. მაგრამ ვიდრე ამ საგანს შევეხებოდეთ, თვალი გადავავლოთ ოდნავად ქართველი ერის წარმოშობის ისტორიას.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი ერის პირვანდელი დრო ჯერ კიდევ სიბნელით არის მოცული. მხოლოდ ახლა აქცევენ ყურადღებას მკვლევარნი იმ მეტად დიდს მსოფლიო მნიშვნელობის საკითხს,

რომელსაც წარმოადგენს კავკასიელების, იაფეტიანების უძველესი კულტურა. მხოლოდ დღეს რწყებენ მეცნიერები იმ მრავალ ნაშთის შესწავლას, რომელმაც შუქი უნდა მოჰფინოს მთელი კაცობრიობის პირველ დროების ენას და განათლებას. მხოლოდ დღეს არკვევენ მკრთალად არქეოლოგოსები და ლინგვისტები, რომ ქართველთა და მათ მონათესავე კავკასიელთა ენასა და კულტურაში უნდა ვეძიოთ ნაშთები იმ უძველესი შემოქმედებისა, რომელიც დაედვა საფუძვლად მთელი წინა აზიის და ევროპის კულტურას.

აქამდის არაა შესწავლილი ქართველთა და საზოგადოთ ყველა იაფეტიანთა (ქართველი ერი ერთი შტოა ამ მოდგმისა) მითოლოგია, გადმოცემანი, ადათები, ჩვეულებანი, რომ ამის შემწეობით აღდგენილ იქნეს უძველესი დრო. არსადაა იმდენი მასალა ადამიანის გარდასულ ჟამთა შესასწავლად, რამდენიც მოიპოვება ჩვენში და ჩვენს მეზობლად, მაგრამ ყველაფერი ჯერ ხელუხლებელია.

ხოლო იმის მიხედვით, რაც დღემდის შეუსწავლიათ და გამოუქვეყნებიათ მეცნიერებს, ქართველთა ნათესავის და კერძოდ ქართველი ერის შორეული წარსული შემდეგ სურათს წარმოადგენს:

ქართველთა მოდგმას ან იაფეტიანთა რასას ოთხი თუ ხუთი ათასი წლის წინად ქრისტეს დაბადებამდის ეჭირა მთელი ის ადგილი, რომელიც ეხლა მოთავსებულია სპარსეთის ყურესა და მარმარილოს ზღვას შუა ერთის მხრით და კავკასიის სამხრეთ საზღვრებსა და ეგვიპტეს შუა მეორეს მხრით, ე. ი მთელი ეგრეთ წოდებული წინა აზია და მცირე აზია, სადაც შემდეგ გაჩნდა ბაბილონი, ასურეთი, სირია, კაპადოკია და სხვა. ეს კიდევ ცოტაა, ზოგი ისტორიკოსი ჰფიქრობს, რომ იაფეტიანები ცხოვრობდნენ ეგეის ზღვის კუნძულებზე,

საბერძნეთში, იტალიაში და ევროპის სხვა მხარეებში, ვიდრე იქ არიელები მოვიდოდნენ. ამასთანავე ჰქონდათ მაღალი კულტურა, განვითარებული წარმოება, რელიგია, მხატვრობა, ჰქონდათ ანბანი და მწერლობა. სანამ ბაბილონელები გაჩნდნენ შუა მდინარის მიდამოებში, იქ ბინადრობდნენ სუმერიელები, ქართველის მონათესავე ხალხი, რომლის ცივილიზაცია დაედვა საფუძვლად ბაბილონურს და რომლის ენა დარჩა ღვთაებრივ ენად თვით ბაბილონელების ბატონობის დროსაც, როგორც იყო ლათინური ენა საშუალო საუკუნოების ევროპაში. ჩვენი მონათესავე ხალხი იყვნენ ელამელები, რომლებიც ბაბილონის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ და პირველობისათვის ებრძოდნენ თავის ძლიერ მეზობელს და ხშირად იმარჯვებდნენ კიდეც. ელამში იყო ის შესანიშნავი ქალაქი სუზა (შუშა, შუშან), სადაც აღმართული იყო კერპი ქალღმერთის (შუშინაკის). დიდს როლს თამაშობდნენ ბაბილონის ისტორიაში ჩვენი ძველის ძველები ქალდეველები, რომელთა ხელშიც იყო ერთ დროს ბაბილონელთა მთელი სამფლობელო. ქალდეას შვილი იყო ის ნაბუქოდონოსორი, რომელმაც აღადგინა და ააყვავა დაცემული ბაბილონი. იაფეტიანები იყვნენ ურარტუს მკვიდრნი, რომელნიც თავზარსა სცემდნენ ასურეთს. იაფეტიანები არიან ის ხეთები, შესანიშნავი დიადი კულტურის ხალხი, რომელთაც უძლიერესი სახელმწიფო შეჰქმნეს ხმელთა შუა ზღვის ნაპირას, სადაც შემდეგ სირია იყო. ჩვენამდის მოაღწია იშვიათმა ხელშეკრულებამ, რომელიც დასდეს ურთიერთ შორის დაახლოვებით 1270 წ. ქრ. წ. ეგვიპტეს მეფემ რამზეს მეორემ და ხეთების მეფემ ხეთაზარმა, ორი მაშინდელი ძლიერი სახელმწიფოს. ბრძანებლები პირობას აძლევენ ერთი მეორეს, რომ ამიერიდან არ გაილაშქრებენ ერთმანეთის წინააღმდეგ და ძმურად და მეგობრულად იცხოვრებენ.

მთელი მცირე აზია—ფრიგია, ლიდია, მიზია, და სხვ., რომელთა შესახებ ბევრს რასმე მოგვითხრობენ ბერძენთა მწერლები,—დასახლებული იყო ქართველთა ნათესავით. ფუსკები და კასკები (მესხები და კოლხები) სცხოვრობდნენ ტავრის მთებთან, სადაც შემდეგ მცირე არმენია გაჩნდა. იაფეტიანთა მოდგმას ეკუთვნიან საბერძნეთის და იტალიის არიელთა წინა დროის მკვიდრნი პელასხები და ეტრურსხები, რომელთა კულტურულ ნაშთებს დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მკვლევარი და რომელთა კულტურის გაგრძელებაა ელინთა და რომაელთა კულტურა.

ცხადია, ყველა ზემოთ აღნიშნული ადგილი ერთ დროს დასახლებული იყო მხოლოდ ქართველთა ნათესავით, იაფეტიანთა რასით, რომლის ცალკე თემების და ტომების სახელები ჯერ კიდევ შესწავლული არაა. შემდეგ შემოესივნენ ჯერ სემიელები და მერე არიელები სხვა და სხვა მხრიდან, დასავლეთით, დასავლეთ-სამხრეთით, აღმოსავლეთით და ხანგრძლივი ბრძოლის პროცესში მრავალი ჩვენი მონათესავე მოისპო, გაითქვიფა სხვა მოდგმაში, ზოგი სულ გადაშენდა, ზოგის შერევისაგან წარმოსდგა ახალი ხალხი, მხოლოდ ნაწილი იაფეტიანებისა გადურჩა საშინელს ქარცეცხლს და მიაშურა კავკასიისაკენ, სადაც ჰპოვა თავშესაფარი. ქართველ თემებზე ადრე დაიძრნენ კავკასიისკენ სხვა იაფეტიანები—ჩერქესები, ლეესხები (ლეკები) და სხვა მთიელები.

ქართველ თემების გადმოსახლება ჩრდილოეთისკენ ნელინელ ხდებოდა. ჯერ კიდევ X—XII სს. ქრ. წ. მათ ვხედავთ კავკასიის სამხრეთით და შავი ზღვის სამხრეთ ნაპირებთან. მხოლოდ ამ დროის შემდეგ შემოდიან კავკასიაში. პირველად მოვლენ მუსხები (მუსკები) აბასხების (აფხაზების) და მესხების სახელით და დასახლდებიან დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქარ-

თველოს ნაწილში მტკვრისა და არაგვის შესართავამდე. ხოლო კახეთი და კუხეთი და დასავლეთ საქართველოს უკიდურესი სამხრეთი დაიჭირეს კასკებმა და კოლხებმა. ამათ მოჰყვნენ შემდეგ ტუბალები ლაზების, ჭანების და იბერების სახელით, აბასხები და მესხები ჩრდილოეთისკენ მირეკეს უმთავრესად და თვითონ დაიპყრეს სამხრეთი, ბოლოს და ბოლოს მთლად დაეპატრონენ აღმოსავლეთ საქართველოს. დასასრულ მივიდნენ ქართები, ქართუ-ები, ქართუ-ელები, დაიჭირეს აღმოსავლეთი და აქედან თანდათან გააძლიერეს თავიანი ძალა და გავლენა.

პირველ ხანებში ქართველი თემები კავკასიაში დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენდნენ. მათ შორის მთავარი ადგილი ეკავათ ლაზებს, კოლხებს, იბერებს და შემდეგ კიდევ ქართუელებს თანდათან მოხდა თემების შეერთება. მათში პირველ ადგილს დაიკავებს ქართუს თემი, რომლის მეთაურობით მონათესავე თემები შედულ-დებიან და შეითვისებენ ქართულს ენას თუ კილოს. მოხდება ქართულიზაცია, იბადება ერთი ახალი ეროვ-ნული კოლექტივი, რომელიც წარმოსდგება თემების თვისებათა და კულტურის შერევისაგან. ქართველი ერის კულტურა არის ყველა თემების შექმნილი და არა მარტო ერთის ქართუს. ეს გაერთიანება განსაკუთრებულის სის-წრაფით განვითარდა მეათე საუკუნეში და დაგვირგვინდა პოლიტიკურის სიძლიერით და კულტურულის აყვავებით მეთორმეტე საუკუნეში.

ჯერ კიდევ გაერთიანებამდე ქართველი ტომები კავკასიაში დიდს გავლენას განიცდიდნენ ბერძენ-რომაე-ლებისაგან, ძველი კერპთ-თაყვანისმცემელ სპარსელები-საგან. ქრისტიანობა გავრცელდა საქართველოში ორის გზით — პალესტინით და ბიზანტიით. უკანასკნელმა დიდი გავლენა მოახდინა ჩვენს ცხოვრებაზე, რასაც ხელს უწყობდა მისი სახელმწიფოებრივი სიძლიერე, ამის ძალა

შეასუსტა ირანულ-მუსულმანური კულტურის მოქმედებამ, რომელმაც გაანთავისუფლა ქართული შემოქმედება ეკლესიურ მიმართულებისაგან და მისცა მას უფრო საერო ხასიათი. ამის საუცხოვო ნიმუშია დავით აღმაშენებლის და თამარის დროის მწერლობა. მაჰმადიანების გავლენა საქართველოს დაშლის შემდეგ უფრო გაძლიერდა, განსაკუთრებით პოლიტიკური სახე მიიღო და დანაწილებული ქართველების სამეფოების და სამთავროების ცხოვრების უმთავრესი შინაარსი გამოიხატებოდა ქართული კულტურის და თვითარსებობის დაცვაში სპარსელებისა და ოსმალოების შემოსევისაგან. ეს ბრძოლა დამთავრდა საქართველოს რუსეთთან შეერთებით...

ასეთია სქემატიური სურათი იმ გზისა, რომელიც განვლო ქართველთა წათესავმა, ქართველმა ერმა თავის საზოგადოებრივი თავისებურობის განვითარებაში. იშვიათად თუ მოიპოვება დედამიწის ზურგზე სხვა ერი, ისეთი ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ისტორიისა, როგორიც არის ქართველი ერი. მრავალის მსოფლიო კულტურის ნაკეცს შეიცავს მისი სულიერი არსებობა. მის სულში თითქოს დაცულია მთელი კაცობრიობის ცივილიზაციის მთავარი ეტაპები. აქაა აღმოსავლეთი და დასავლეთი, აზიის კულტურა გადასკვნია ევროპისას, ეგვეტიანთა რასას განუცდია ტრმა გავლენა სემიელების და არიელების, აქ ჰპოულობს დასაწყისს ბაბილონის ცივილიზაცია, ირანის კულტურა და ელინიზმი, აქაა შეზავებული უძველესი წარმართობა, ქრისტიანობა და მაჰმადიანობა. არც ერთი უდიდესი საკაცობრიო შემოქმედების ნაყოფი ჯრაა უცხო ქართველთა მოდგმისათვის. ევროპის დღევანდელ ერების ისტორია არ აღემატება 2500—3000 წელს, ხოლო სლავიანების, კერძოდ რუსების ძლივს აღწევს 1200—1500 წელს. ქართველთა

ნათესავის წარსული კი გადაჭიმულია 6 ათას ნახევრის— შვიდ ათასი წლის მანძილზე.

ყველაფრის ამის მოგონება იმიტომაა საჭირო, რომ ნათლად გავითვალისწინოთ ქართული ეროვნების ბუნება ჩვენი პოლიტიკური საკითხის გადაჭრის დროს. ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს სიდიადე და სიმძიმე ქართველი ერის ბედისა. ეს ვიწრო საკითხი არაა, ეს შეეხება მთელს იმ კულტურას, რომელიც ჩვენს ერს დაუმკვიდრებია ათას წელთა მოღვაწეობისაგან. ეს შეგვეხება არა მარტო ჩვენ დღევანდელებს, ამ საქმისათვის მეტყველობენ ის შორის შორი თაობანი, რომელთა ძვლების მტვერიც კი არსად მოიპოვება, მაგრამ რომელთა ნამოღვაწარი მთელ ქვეყნიერებაზეა მოფენილი. ქართველთა მოდგმას, იაფეტიანთა რასის კვალი რომ ამოვშალოთ მსოფლიო ისტორიაში, ვინ იცის რა შეგვრჩებოდა ხელთ! ამ რასის საუკეთესო წარმომადგენელია დღეს ქართველი ერი და თუ ყოველი ერის თავისუფლება გარდაუვალი, სტიქიური, კოსმიური აუცილებლობაა, კიდევ უფრო განსაკუთრებულად საზრუნავი უნდა იყოს ჩვენთვის ქართველი ერის თავისუფლების დამყარება, ქართული ეროვნების თვითარსებობა. თუ სამძიმოა და საძნელო ყოველი ერის მოტეხა და მონობა, კიდევ უფრო არავის უნდა გაუადვილდეს ისეთი ერის დაჩაგვრა და გადაგვარება, როგორიც არის ქართველი ერი, ურიცხვ ბრძოლათა შიგან განმტკიცებული და ათას ცეცხლში გამობრძმედილი!

თავისუფალი ქართველი ერი, აღდგენილი საქართველო—სხვა ფიქრი შეუძლებელია, სხვა ლოზუნგი შეუწყნარებელია, ქართული პოლიტიკური მოღვაწეობისათვის. ეს ჩვენი ფიზიკური არსებობის საკითხია, არა მხოლოდ გონებრივ ზნეობრივ განვითარებისა. ეს ჩვენი მოვალეობაა, იმ გარდასრული თაობათა წინაშე, რომელთაც თავი დასდეს

მთელი კაცობრიობის კულტურისათვის. ნუ შეგვრცხვება ამ მოვალეობის ხსენებისა—იგი უკეთილშობილესი ლირსებაა. არავითარი შეჩერება, არავითარი პირობა, არავითარი ლოდინი—მხოლოდ ერთი სიტყვა უნდა უთხრათ მშობელ ერს: თავისუფლება თავისუფლება! ეს უნდა განხორციელდეს დაუყონებლივ, უყოყმანოთ, გაბედულად.

უნდა განხორციელდეს—ამის შესახებ კამათი შეუძლიათ მარტო მონობაში დაბადებულებს და მონობაშივე მკვდარ ცოცხლებს—უნდა განხორციელდეს, მაგრამ რა სახით, რა ფორმაში უნდა ჩამოყალიბდეს ქართველი ერის თავისუფლება?

სამნაირი შესაძლებლობა არსებობს საქართველოს კონკრეტულ თავისუფლებისათვის: სრული დამოუკიდებლობა, ავტონომია უნიტარულ ან ფედერატიულ რუსეთის სახელმწიფოში და ავტონომია დამოუკიდებელ ფედერატიულ კავკასიაში ან უკეთ ამიერკავკასიაში. *)

განვიხილოთ თითოეული. იმის შემდეგ რაც ზემოთ ვილაპარაკეთ, ცხადია, რომ თავისთავად ქართველი ერის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის იდეალური ფორმაა სრული სეპარაცია, დამოუკიდებლობა, გამოყოფა რუსეთის და კავკასიიდან და საკუთარი სახელმწიფოებრივი ერთეულის დაარსება. ასეთი მდგომარეობა შეჰქმნიდა საუკეთესო ვითარებას ქართველი ხალხის ეკონომიური და კულტურული შემოქმედებისათვის. ჩვენი ქონებრივი, სოციალური, გონებრივი თავისებურობა ამას ხელს უწყობს. გაცილებით მეტის სისწრაფით წავიდოდა წინ ჩვენი განვითარება, რომ დავეყაროთ საკუთარ ძალებს და ვიმოქმედოთ ისე, როგორც ამას მოითხოვს

*) ქვემოთ გამოთქმულ აზრების გამო უნდა ვაუწყო მკითხველს, რომ ეს წერილები დაწერილია 1917 წლის ოქტომბერში მაშინდელი მდგომარეობის მიხედვით.

ჩვენი ინტერესები. რაც შესაძლებელია ქართულ სინამდვილეში, განუხორციელებელია სხვაგან და სხვების მიყოლამ შეიძლება ადვილად შეაჩეროს ჩვენი წინმსვლელობა. ეს ოდნავად არ ეწინააღმდგება ფედერალიზმის იდეას, რომელიც ქვაკუთხედია ჩვენი მსოფლმხედველობისა. ფედერალისტები ვართ ღრმა შეგნებით, კაცობრიობის უკეთესი მომავალი ვერ წარმოგვიდგენია გარეშე ფედერაციისა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთის ზღაპრის გიჟივით ყველგან და წამ და უწუმ ფედერაციას გავიძახოდეთ. შესაძლებელია ზოგ მდგომარეობაში საუმჯობესო იყოს სრული დამოუკიდებლობა, შესაძლებელია დამოუკიდებელმა საქართველომ უკეთესი საფედერაციო პირობები შეჰქმნას. ფედერაცია ჰგულისხმობს თავისუფლებას და თავისუფალი ქართველი ერი ისეთ პირობით შევა ფედერაციაში, რომელიც უმჯობესი გამოდგება.

მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას დიდი დაბრკოლებანი ელობება წინ. არას ვამბობთ დამოუკიდებლობის განამდვილების სიძნელეზე. გაცილებით უფრო ყურადსაღებია ის ხიფათი, რომელიც მოელის სეპარატიულ საქართველოს არსებობას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბურჟუაზიულ ხანაში ვცხოვრობთ, რომელსაც თან სდევს ომიანობა და იმპერიალისტური მისწრაფებანი. რაც უნდა მშვიდობიანი პოლიტიკა აწარმოოს დამოუკიდებელმა საქართველომ, მაინც არავითარი გარანტია არ ექნება, რომ მის მეზობლებს არ მოუვათ შეტაკება და ძალით არ ჩაითრევენ ბრძოლაში. ჩვენს გვერდით იქვებიან რუსეთის და ოსმალეთის დიდი სახელმწიფოები და კვლავ გაგრძელდება მათი ქაშპობა და მტრობა, რასაც ჩვენს ტერიტორიაზედაც გადმოიტანენ. შეიძლება საქართველო კვლავ საცილობელი საგნად გახდეს და განმეორდეს მეთვრამეტე საუკუნის ამბები, როცა

საქართველოს მეფეები და მთავრები აქეთ-იქით დაეძებ-
დნენ მფარველებს. ვთქვათ, რომ რუსეთი დანაწილდა და
იგი პირდაპირ არ იქნა მიკრული ჩვენს მიწაწყალზე;
მაგრამ ხომ გარშემორტყმული ვიქნებით მაჰმადიანობით
და ვინაა თავდები, რომ იგი აგრესიულ გზას არ დაადგე-
ბა და არ მოინდომებს ძველებურად თავის გავლენას და-
უმორჩილოს მთელი ჩვენი ცხოვრება?

ამიტომ თუ საქართველოს სრული დამოუკიდებლო-
ბა თავისთავად ფრიად საჭირო და სასურველია, უნდა
გვახსოვდეს ისიც, რომ ამ დამოუკიდებლობას განსაზ-
ღვრულ პირობებში შესაძლებელია არ მოჰყვეს ერის ნაჭ-
დვილი თავისუფალი არსებობა.

შესაძლებელია ამიერკავკასიის ჩამოშორება რუ-
სეთისაგან და ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუ-
ბლიკის დაწესება. სივრცით და მცხოვრებთა რაო-
დენობით ამიერკავკასიის ფედერაცია საკმაოდ ძლიერ
პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა (214.693 კვ. ვ.
და 7 1/2 მილ. მცხოვრ.) ეკონომიურადაც იგი ბევრად
სასარგებლო იქნებოდა ავტონომიურ ნაწილებისათვის.
მაგრამ დიდი შეცდომა მოგვივა, თუ ვიფიქრებთ, რომ
ასეთი ამიერკავკასია დაემსგავსება შვეიცარიას. კავკასიის
ერებს შორის გაცილებით მეტი კულტურული სხვა და
სხვაობაა და კავკასიელთა ურთიერთობა ჯერ კიდევ ვერ
ჩამოყალიბებულა გარკვეულ კალაპოტში, რაიც აუცი-
ლებელი პირობაა მტკიცე კავშირისა. საქმეს კიდევ ის
ართულებს რომ კავკასიის ყველა მკვიდრი ეროვნულად
არაა დანაწილებული, რომ მოხდეს შეთანხმება ერებისა.
აქ თუ ვხედავთ წმინდა, ერებს, არის დიდძალი მუსულმანობა
რომელიც შესდგება სხვა და სხვა მოდგმის მკვიდრთაგან
და უპირდაპირებს თავის თავს დანარჩენ კავკასიელებს
მხოლოდ იმიტომ, რომ ერთს სარწმუნოებას აღიარებს.
ასე რომ მომენტი ეროვნული რთულდება სარწმუნოებ-

რივის მომენტით და ეს მდგომარეობას ხლართავს. ამიერ-კავკასიაში ამ ჟამად სამი გამორკვეული საზოგადოებრივი ერთეულია: ქართველობა, სომხობა და თურქობა, რომელიც უფრო სარწმუნოებრივის—მაჰმადიანურის სახით გამოდის, ვიდრე ეროვნულის სახელით. მათში განსხვავებული ინტერესების მორიგება უფრო ადვილია სომხებს და ქართველებს შორის და ქართველებსა და თურქებს შორის. სომხებსა და ქართველებს დიდი კულტურული ერთობა აქვთ, ხოლო მათი ეკონომიური ინტერესების წინააღმდეგობა არაა იმდენად ფართო, რომ ნიადაგი შექმნას ეროვნული შეურიგებლობისათვის. თურქებთან ქართველებს თითქოს არაფერი უნდა ჰქონოდეთ საერთო და გასაყოფი, მაგრამ თურქების პანისლამისტურმა და პანთურქისტულმა მიდრეკილებამ ქართველ მაჰმადიანთა საკითხში ნათლად დაგვანახა, თუ რამდენად დამღუპველია ასეთი პოლიტიკა ქართველი ერის არსებობისათვის. ყოველივე ეს იმას გვიმტკიცებს, რომ მომავალ დამოუკიდებელ ამიერკავკასიის რესპუბლიკაში უნდა მოხდეს რაც შეიძლება მტკიცე გამიჯვნა ტერიტორიებისა ეროვნების მიხედვით და რესპუბლიკა უნდა შეადგენდეს იმდენად არა ფედერაციას, რამდენად კონფედერაციას, ე. ი. სახელმწიფოთა კავშირს, სადაც ავტონომიურ ნაწილებს სრული დამოუკიდებლობა ექნებათ შინაურ საქმეებში.

მესამე შესაძლებლობა საქართველოს საკითხის გადაწყვეტისა იქნება—თუ რუსეთი არ დაირღვა, არ დანაწილდა, და ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ავტონომია რუსეთის რესპუბლიკაში. ამასთან ეს რესპუბლიკა შეიძლება იყოს უნიტარული ან ფედერატიული. რასაკვირველია ჩვენთვის და საერთოდ ყველა არა რუსის ერისთვის უმჯობესია ფედერაცია, რადგან ეროვნულ ტერიტორიალურ თვითმართველობისათვის იგი გაცილებით მეტს

გარანტიებს იძლევა, ვიდრე უნიტარული რესპუბლიკა. ფედერაციაში ერების თავისუფლებათა დამცველნი თვითონ ერების წარმომადგენელნი არიან და სახელმწიფოს უმაღლესი ფუნქცია მათ ხელშია. ფედერაცია ყველგან ერთნაირი არაა. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკაში რაც შეიძლება ფართოდ იყოს დაცული ჩვენი ავტონომია, რაც შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ჩვენი ერის თავისუფალი განვითარება. ასეთი ფედერაცია ადვილად დაიცავს ყოველ ერს გარეშე შემოსევისა და განადგურებისაგან. იგი თავისუფალ გზას აძლევს ყოველ ერს ფართო ეკონომიური და კულტურული სარბიელისათვის. იგი ძვირფასი იქნებოდა ქართველი ერისთვის, თუ უზრუნველჰყოფდა სამაჰმადიანოდ და საქრისტიანო საქართველოს მტკიცეგაერთიანებას.

თითოეული ზემო ჩამოთვლილი შესაძლებლობა ჩვენი ეროვნების ბედის გადასაჭრელად სასურველია. არც ერთი არაა აბსოლუტურად კარგი და კმასაყოფელი. ყოველი მათგანი საწადელია განსაზღვრულ პირობებში და განსაზღვრულ კომბინაციებით. რომელი შესაძლებლობა განხორციელდება—ეს დამოკიდებული არის მრავალ რთულს გარემოებაზე, მაგრამ როგორც იდეალისტი ვიტყვი, რომ ქართველი ერის ბედის მჭედელი ყოვლის უპირველესად თვითონ ქართველი ერია, თვითონ მან უნდა ამოიღოს ხმა, თვითონ უნდა გამოხატოს თავისი ეროვნული ნებისყოფა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ აუცილებლად უნდა შევასრულოთ, რანაირადაც უნდა გადაწყდეს ჩვენი საქმე, როგორი სახეც უნდა მიიღოს საქართველოს განთავისუფლებამ,--ყოველის დონთ უნდა ვეცადნეთ, რომ ეს თავისუფლება იყოს მაქსიმალური და ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს ჩვენი ეროვნება, რომ არა ჰპარკავდეს-რა მის თავისუფალ არსებობასდაზრდას.

აქ აღვნიშნეთ, რომ ჩვენი საკითხის გადაწყვეტა ჩვენზეა დამოკიდებული უმთავრესად. თავისთავად იბა-

ლება კითხვა: რა ძალას უნდა ევალებოდეს უფრო დღეს ეროვნული აღორძინების საქმე, ვის უფრო ძალუძს მისი შესრულება, ვინ უფრო დაინტერესებულია და მომზადებული საამისოდ? ერის განთავისუფლება საერთო საგანია, ყველა წოდების, ყველა კლასის, უეჭველია. მაგრამ ყოველ ხანას თავისი მესვეური ჰყავს. დღეს დემოკრატიის ბატონობის და ხელმძღვანელობის დროა საზოგადოთ. ცხოვრებას ტონს და მიმართულებას აძლევს ყველგან დემოკრატია. ეროვნულ საკითხის გადაჭრაში პირველობა დემოკრატიას ეკუთვნის. ერების განთავისუფლება და თავისუფალ ერებს შორის თავისუფალ კავშირის დამყარება, მათი თანხმობის და ძმობის დამკვიდრება—მხოლოდ დემოკრატიას შეუძლიან.

ქართველი ერის თავისუფლების მოპოებაც ქართველი დემოკრატი ს საქმეა და უდიდესი საქმე. არც ერთი კლასი არ განიცდის ეროვნული ჩაგვრის ბორკილებს ისე მწვავედ, როგორც დემოკრატია, არაფერი აფერხებს დემოკრატიის განვითარებას, კლასობრივ შეგნებას და ბრძოლას, როგორც ეროვნული მონობა, და მონობის მოსპობა, თავისუფალი არსებობა ერისა დემოკრატიის მუშა ხალხის, პროლეტარიატის და მუშა გლეხობის უწმინდესი მოვალეობაა. მხოლოდ მაშინ, როცა განიწმინდება ცხოვრება ყოველი ეროვნული შეზღუდვისა და უსამართლობისაგან,—გაიკაფავს თავისუფლად გზას მუშა კლასის ბრძოლა სოციალიზმისათვის. ქართველი ერის აღდგენა—უდიდესი მნიშვნელობის სარევოლიუციო აქტია და იგი ხელში უნდა აიღოს სწორედ იმან, ვინც მთელის თავის ბუნებით არსებითად რევოლიუციონერია, ე. ი. მუშა კლასმა და ამით იგი შეასრულებს არა მხოლოდ თავის კლასობრივ საქმეს, არამედ განახორციელებს მთელი ერის დიად მისწრაფებას, იმ ერისას, რომლის საუკეთესო ნაწილია თვითონ.

ეროვნული თავისუფლება—ადამიანების სრული არ-

სებობის, სრული შემოქმედების მისწრაფებაა — და ვინ უნდა იდვას იგი თავს, თუ არა იმათ, რომელნიც მოუწოდებენ კაცობრიობას აღთქმულ ქვეყნისაკენ? ეროვნება და სოციალიზმი ერთი მეორეს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ საერთო ს ქმეს აკეთებენ, ერთი მეორეს ემსახურება, ერთი მეორეს უკაფავს გზას. ასე ესმოდათ სწორედ ეროვნების და სოციალიზმის დამოკიდებულობა — მუშათა პირველ კავშირს, პირველ ინტერნაციონალს, რომლის ოფიციალური ორგანო სწერდა: „მუშების საერთაშორისო მოძრაობა ყველგან ემყარება თავისუფალს და მთლიან ეროვნულ განვითარებას“.

„ყოველმა ერმა თავის სახლში უნდა გასწმინდოს თავისი კერა, ე. ი. უწინარეს უნდა გადასწყვიტოს თავისი ეროვნული საკითხი — რომელიც მოითხოვს პოლიტიკურს თავისუფლებას შიგნით და ეროვნულს დამოუკიდებლობას გარეთ“. ეროვნული საკითხის გადაწყვეტა აუცილებელი წინასწარი პირობაა ერთა კავშირის. „იმისთვის, რომ მთელი სხეულის (კაციობრიობის) მოძრაობა არ შეჩერდეს, საჭიროა, რომ ყოველი წევრი ერთეულისა (თითოეული ერი) იყოს სიცოცხლითა და ენერგიით სავსე, ხოლო ვინაიდან ყოველი წევრი არაა მარტო ხორციელი, არამედ სულიერი არსებაცაა, ვალდებულია დაიცვას თავისი ღირსება და პატივი, ძალა და მნიშვნელობა“. „სულ მცირე ერისთვისაც ყოველთვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თავისუფალი და დამოუკიდებელი არსებობა“. შემდეგ კიდევ ვკითხულობთ: „ყოველმა ეროვნებამ, როგორც ორგანიულმა ნაწილმა ერთი საკაცობრიო ოჯახისამ, თავის ხასიათის, ნიჭის და ადგილის ბუნებრივი თვისებების მიხედვით უნდა შეიტანოს თავისი შესაფერი წვლილი საერთო კულტურაში“.

ინტერნაციონალის ორგანო ამასაც არ კმაყოფილდება და ამბობს: ეხლანდელი ერები არ შეესაბამებიან ერის იდეალს და ამიტომ მუშათა მოძრაობამ თავს უნდა

ოდვას ამ იდეალის განხორციელება, სული ჩაუდგას ეხლანდელს პასიურს ეროვნებასო.

ეს ყოვლად საღი და უტყუარი აზრი მუშათა პირველი საერთაშორისო კავშირისა შემდეგ უფრო განვითარდა, განმტკიცდა და საფუძვლად უდევს დღეს ევროპის სოციალისტურ პარტიების მუშაობას...

1917 X.

P. S. წელიწადის მეტი გავიდა, რაც ეს წერილები დაიწერა. ისტორიის მსვლელობამ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ ქართველი ერის განთავისუფლების განამდვილება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოს სრულის დამოუკიდებლობის სახით. საკითხი გადაჭრილია. ეხლა ჩვენი მოვალეობაა განვამტკიცოთ მოპოვებული თავისუფლება და დავიცვათ მთელის არსებით, ყოველის ღონით ჩვენი რესპუბლიკა. უნდა შევქმნათ პირობები, რომლებიც საუკეთესოდ უზრუნველჰყოფენ საქართველოს სახელმწიფოს სრულს განვითარებას—ეკონომიურს, პოლიტიკურს, კულტურულს. ეს შესაძლებელია მკვიდრი დემოკრატიულის მართველობის დამყარებით, მეზობელ ერებთან შეთანხმება—მორიგებით და ისეთის საერთაშორისო ორიენტაციით, რომელიც თ ვიდან ააცილებს ჩვენს ქვეყანას ყოველგვარ საგარეო საფრთხეს.

ეხლა მთელი ჩვენი გულისყური იქითკენ უნდა იქნეს მიქცეული, რომ საკუთარმა სახელმწიფოებრივმა არსებობამ მისცეს ჩვენს ერს რაც შეიძლება მეტი საშუალება ფიზიკური ზრდისა, ქონებრივ და ზნეობრივ დაწინაურებისა, მისცეს შეძლება უდიდეს შემოქმედების გამოჩენისა. უნდა ვეცადოთ, რომ საქართველოს რესპუბლიკა იყოს ნამდვილი თავისუფლების კერა, რომ მის დროშის ქვეშ გაერთიანდეს მთელი ქართველობა როგორც საქრისტიანო, ისე სამაჰმადიანო...

1918. XI—14

ფასი 2 მ. 50 კ.

წიგნი იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. სასახლის ქუჩა, № 5 და „სახალხო საქმის“ რედაქციაში.